# სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 ივლისი 2006 №157 (2779) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

# დიდი სანახაობა მორჩა, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ

ბოლნისის „სიონისთვის“ წინა სეზონის ლამის ყველა მატჩი ისტორიული იყო, გუნდმა ბოლომდე მიიყვანა საქმე და ჩემპიონი გახდა. დღეს კი ბოლნისელები პირველად ითამაშებენ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

„მიხეილ მესხზე“ „სიონი“ აზერბაიჯანულ „ბაკის“ მიიღებს, რომელიც შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს: არ ეყოლებათ ალეკო გოგობერიშვილი, მთავარი ფორვარდი ლეანდრო გომეში და ძირითადი მეკარე ხალიდუ სისოკო. ისე, წინა სეზონის მერე რომ „სიონიც“ მოსუსტდა შემადგენლობის მხრივ, არც ამას უარყოფს ვინმე.

სამაგიეროდ, ბოლნისელებმა მოასწრეს და სამი კამერუნელი ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა მოახერხეს — იქნებ სწორედ ისინი წაადგნენ წამლად ქვემოქართლელებს...



დანარჩენი კი ვაკის სარბიელზე ვნახოთ...

ბოლნისელების კარში გატანას ქართველი გია მეგრელაძეც შეეცდება

# დღეს სიონი - ბაკია და იქნებ კამერუნია ბოლნისის წამალი

# დეშანი მიწაშეძრულ სახლში: ორწლიანი კონტრაქტი იუვესთან

ტურინის „იუვენტუსს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — გუშინ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა 37 წლის დიდიე დეშანმა, ვინც მოთამაშის კარიერა სწორედ „იუვეში“ დაასრულა და მწვრთნელობით „მონაკოში“ გაითქვა სახელი.

წინა კვირას იყო, ტურინულ კლუბს ფაბიო კაპელო რომ გაეყარა: მან სერია C-ში ან სერია B-ში მუშაობა არ ისურვა და მადრიდის „რეალს“ მიაშურა. და ვიდრე „იუვენტუსს“ საბოლოო განაჩენს გამოუტანდნენ, ფეხქვეშ მიწაშეძრული გუნდის თავკაცობა დეშანმა იკისრა.

საბოლოო ვერდიქტს კი სასამართლო „იუვეს“ დღეს ან ხვალ გამოუტანს, ისევე, როგორც სკანდალში გახვეულ „მილანს“, „ლაციოს“, „ფიორენტინას“ და აგრეთვე 26 პიროვნებას.

AFP

# ცქიტიშვილი პანიონიოსელია

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ბუნდესლიგური „ვოლფსბურგიდან“ წასული ლევან ცქიტიშვილი ათენში ჩავიდა იქაურ „პანიონიოსთან“ მოსალაპარაკებლად. გუშინ კი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა — საქართველოს ნაკრების 29 წლის ნახევარმცველმა „პანიონიოსთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ფრაიბურგის“ და „ვოლფსბურგის“ შემდეგ ეს ცქიტიშვილის მესამე უცხოური ტრანსფერია. ლევანს კარგად უნდა იცნობდეს „პანიონიოსის“ თავკაცი — ათენელებს ხომ გერმანელი ევალდ ლინენი ავარჯიშებს.

# სიონმა ბაკისთვის კამერუნელებიც მოასწრო

## კახა ცხადაძე: მეტოქის მთავარი ძალა ლეგიონია

**დღეს, სამწლიანი პაუზის შემდეგ, ბოლნისის „სიონი“ კვლავ ითამაშებს ევროსარბიელზე. ბოლნისელთა მეტოქე აზერბაიჯანის ჩემპიონი „ბაკია“, ფინანსურად წელგამართული კლუბი, რომლის წლიური ბიუჯეტი 5-6 მილიონი დოლარია...**

**ფეხბურთს ფეხბურთელები თამაშობენ და არა ბიუჯეტები და ხანდახან ისეც ხდება, რომ ნაკლებად შეძლებული გუნდი მასზე მდიდარს ამარცხებს და საერთოდ, ჩემპიონთა ლიგა თავისი საკვალიფიკაციო ეტაპებითაც საკმაოდ ძნელად პროგნოზირებადი ტურნირია...**

**მატჩი იმითაცაა საინტერესო, რომ ხელის გულზე დადებულივით გამოჩნდება, როგორი თანაფარდობაა საქართველოს და აზერბაიჯანულ საკლუბო ფეხბურთს შორის...**

**„სიონი“ გუშინდელ ვარჯიშს „მიხეილ მესხზე“ საღამოს შვიდის ნახევრისთვის მორჩა და ვარჯიშის დამთავრებისთანავე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა დავით სილაგაძემ და გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს**

*ცხადაძე:* სეზონისწინა პერიოდში ნაყოფიერი სელექცია ვაწარმოეთ. შევინარჩუნეთ დავით ჭიჭვეიშვილი, დავიმატეთ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი და სამი კამერუნელი, კიდევ ლევან შეგულიძე. მიხეილ ხუციშვილი „დინამოში“ გადავიდა, „დინამოში“ დაბრუნდა ლევან ხმალაძე, ხოლო ირაკლი სირბილაძეს „სიონთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა.

*სილაგაძე:* „სიონის“ ფარმ-კლუბს ვქმნით და გვინდა, რომ „სიონი 2“ პირველ ლიგაში დაუშვან. თუ ეს არ მოხერხდა, „სიონი 2“ რეგიონული ლიგიდან დაიწყებს თამაშს. „სიონი 2“-სთვის ყველაფერი შევიძინეთ, ახალგაზრდა ფეხბურთელებიც 35-ე სკოლიდან. ბოლნისის სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საქართველოში, ჩამოგვივა ელექტროტაბლო მოსკოვიდან. მოკლედ, ჩვენი სტადიონი მალე ისეთი იქნება, ვერ იცნობთ. სტადიონი მე-18 ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში გაიხსნება რუსთავის „ოლიმპთან“ მატჩისას.

*ცხადაძე:* ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ „სიონი“, ასე ვთქვათ, ექვსი თვის გუნდი არ იყოს. სერიოზული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად სათანადო სამუშაოები მიმდინარეობს.

**— გიორგი კვიტაიშვილი და გიორგი ქუცურუა „სიონში“ რჩებიან?**

*ცხადაძე:* კვიტაიშვილი ტრავმირებულია, რაც შეეხება ქუცურუას, მიმდინარეობს მილაპარაკება მისი „დინამოდან“ გამოსყიდვის თაობაზე და კლუბები თანხაზე უკვე შეთანხმდნენ.

**— „ბაკიზე“ რას იტყოდით?**

*ცხადაძე:* საკლუბო ფეხბურთის დონემ აზერბაიჯანში მკვეთრად აიწია, ქართველი ფეხბურთელებიც იქ გარბიან სათამაშოდ. „ბაკიმ“ ახლახან მეგრელაძე დაიმატა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო ფორვარდი იყო. „ბაკი“ ამბიციური გუნდია სერიოზული ფინანსური ზურგით. „ბაკის“ მთავარ ძალას მისი ლეგიონერები წარმოადგენენ.

**— კამერუნელების საუეფასთასო განაცხადში შეყვანა „ბაკისთან“ მატჩისთვის ხომ ვერ მოასწარით?**

*ჭიპაშვილი:* „სიონმა“ შეუძლებელი შეძლო და „ბაკისთან“ მატჩისთვის მათი განაცხადში შეყვანა მაინც მოვახერხეთ, მცველ ბოიომო ფრიდოლინს, თავდამსხმელებს — ნემეჯი ევოჩეს და ერიკ ჩასენს „ბაკისთან“ ხვალვე შეუძლიათ თამაში.

**— ამ ფეხბურთელებზე რას იტყოდით?**

*ცხადაძე:* პერსპექტიული ფეხბურთელები არიან და ჯერ დრო სჭირდებათ ადაპტაციისთვის. ისინი გია გურულმა გამოგვიგზავნა, რომელიც ხვალ თბილისში უნდა ჩამოვიდეს. კამერუნელებთან ალბათ სამწლიან კონტრაქტებს გავაფორმებთ.

**დავით თავართქილაძე**

# ბაკის მამაცი გენერალი ჰყავს

## სიონს ქართულ-გვინეური წყვილი შეუტევს

**„ჩვენ** ისეთი გუნდი არ ვართ, ვინმეს ზემოდან დავხედოთ. ბრძოლა ყველასთან საჭიროა, გინდ მეტოქე მეოთხე დივიზიონის გუნდი იყოს. საქართველოს ჩემპიონატიდან მოხვდნენ ევროპის საუკეთესო კლუბებში კალაძე, კობიაშვილი, არველაძე და სხვები, ასე რომ, „სიონი“ სუსტი გუნდი არ იქნება“ — ეს „ბაკის“ მთავარ მწვრთნელ ბოიუკავა გაჯიევის სიტყვებია.

გაჯიევი ენაწყლიანი კაცია, გარეგნულად ვისენტე დელ ბოსკეს ჩამოჰგავს „ბაკი“ კი კარგი გუნდი ჩანს, ოღონდ დღეს „სიონთან“ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს — ბრაზილიელი მთავარმეგოლე ლეანდრო გომეში და ძირითადი მეკარე, სენეგალელი ხალიდ სისოკო დააკლდებათ.

„ბაკიმ“ „მიხეილ მესხზე“ ვარჯიშს საათზე ოდნავ მეტი დაუთმო, კარში დარტყმებისა და ჩაწოდებების შემდეგ ორმხრივი თამაშიც გამართეს ნახევარ მინდორზე. არცთუ ცუდი ტექნიკა, მოკლე პასები და უზუსტო დარტყმები — ერთი შეხედვით ასეთი ჩანდა „სიონის“ მეტოქე ვარჯიშზე.

ალეკო გოგობერიშვილი „სიონთან“ ვერც დღეს და ვერც საპასუხო მატჩში ვერ ითამაშებს, ტრავმა აწუხებს და გუშინ სათადარიგოთა სკამიდან უყურა თანაგუნდელების ვარჯიშს. სამაგიეროდ, „ბაკის“ ჰყავს გია მეგრელაძე და თუ სასწაული არ მოხდა, იგი ბოლნისელებს პირველივე წუთიდან შეუტევს.

ქართველებზე, ხალიდუ სისოკოზე და ლეანდრო გომეშზე უკვე ვთქვით, ამათ გარდა კი „ბაკის“ კიდევ ხუთი ლეგიონერი ჰყავს: რუმინელი მიხაი იონესკუ, სერბი დარკო იოვანდიჩი, ბრაზილიელი ანდრე ლადაგა და გვინეელები — ფორვარდი პატე ბანგურა და მეკარე სალიუ დიალოს სახით.

ვარჯიშის შემდეგ ბოიუკავა გაჯიევმა აღნიშნა, უმაღლეს დონეზე ვერ მოვემზადეთ საჩემპიონთალიგო მატჩებისთვის, მაგრამ „სიონთან“ მოგებას ვაპირებთო.

— 29 მაისს აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო ტური იყო, რის შემდეგაც გუნდი შვებულებაში გავუშვით და 15 ივნისს შევკრიბეთ. მოსამზადებლად დიდი დრო არ გვქონია, ამიტომაც ფიზიკურ და ტაქტიკურ მზადყოფნაში მოვიკოჭლებთ.

**— გასული სეზონის შემდეგ შემადგენლობაში რა ცვლილებებია? და ალეკო რეხვიაშვილზეც გკითხავთ, რატომ გაუშვით ის გუნდიდან?**

— ერთი მარცხენა ნახევარმცველი წავიდა. რეხვიაშვილზე კი ვიტყოდი, რომ ის თავის დროზე ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ახლა ასაკშია და ფიზიკურად მოიკოჭლებდა. ალეკოს კლასი ეტყობოდა, თავიდან ოთხი-ხუთი თამაში კარგად ჩაატარა, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ დატვირთვებს ვერ უძლებდა.

**— ბრაზილიელი ლეანდრო გომეში რატომ ვერ ითამაშებს?**

— შარშან ევროტურნირზე წითელი ბარათი მიიღო და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. სავარაუდოდ, თავდასხმაში ბანგურასა და თქვენებურ გია მეგრელაძეს დავაყენებ. იმედია, ეს ტანდემი ეფექტური იქნება.

**— მეგრელაძეს უფრო ვრცლად ვერ დაახასიათებთ?**

— მე იგი ორმხრივ თამაშებში ვნახე და დავრწმუნდი, მეგრელაძე გამტანი ფორვარდია, მას მეტოქის დაცვაში არეულობის შეტანა შეუძლია.

**— ალეკო გოგობერიშვილი „ბაკის“ ლიდერია და ისიც დაგაკლდებათ...**

— გოგობერიშვილი საკვანძო ფიგურაა „ბაკიში“, მას ჩვენ ძალიან ვაფასებთ და მთლიანად აზერბაიჯანის ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.

**— „სიონზე“ რას იტყვით, მეტოქე რამდენად გყავთ შესწავლილი?**

— რამდენადაც ვიცი, გასული სეზონის „სიონი“ ერთი თავით მაღლა იდგა ახლანდელზე. მათი სამი მატჩის ვიდეოფირი ვნახე „დინამოსთან“ შინ და სტუმრად, ასევე „ბათუმთან“, სადაც „სიონი“ 0:2-ს აგებდა და ფრედ დაასრულა მატჩი. რთული შეხვედრა გვექნება, საქართველოს ჩემპიონი სუსტი გუნდი რატომ უნდა იყოს...

**— სტუმრად თამაშობთ და უფრო დაცვაზე გააკეთებთ აქცენტს?**

— არ ვიცი, გოგობერიშვილმა გითხრათ თუ არა, მაგრამ „ბაკი“ დაცვის გუნდი არაა. ჩვენ შეტევებს ვართ მიჩვეულნი.

**— ხვალ ფრე არ დაგაკმაყოფილებთ?**

— ფრე მისაღები შედეგი იქნება, მაგრამ ჩვენ მოგებაზე ვითამაშებთ. მოედანზე მაქსიმალური მიზნებისთვის უნდა გამოხვიდე, თორემ ხომ იცით, გენერალი თუ მშიშარაა, იქ ომი ყოველთვის წაგებულია...

**ილია ნანობაშვილი**

# შენც, ამასაც, იმასაც... ამდენი არ გვაქვს!

## ნოზაძე ისრაელიდან დაბრუნდა

თბილისის „დინამოს“ ექს-კაპიტნის, 26 წლის ლაშა ნოზაძის თელ ავივის „ჰაპოელში“ გადასვლა გამოირიცხა — ნოზაძე ისრაელის დედაქალაქიდან უკვე დაბრუნდა.

„ჰაპოელში“ ნოზაძე „ბათუმიდან“ წასულ მცველ გიორგი ონიანთან ერთად მივიდა გასინჯვაზე. ონიანი ადრევე წამოვიდა იქიდან, ხოლო ნოზაძე ებრაელებს მოეწონათ და მის დატოვებასაც აპირებდენ, მაგრამ „ჰაპოელის“ მიერ ნოზაძის შესაძენად გამოყოფილი ფული საკმარისი არ აღმოჩნდა — თავის წილს ითხოვდა შუამავალი აგენტი, თანხა გადასახდელი იყო ნოზაძის აგენტისთვის, თბილისის „დინამოსთვის“ და, რა თქმა უნდა, თვითონ ნოზაძისთვისაც. მოკლედ „ჰაპოელი“ იმდენს არ იხდიდა, რომ ყველა მხარე კმაყოფილი დარჩენილიყო და ტრანსფერიც არ გამოვიდა.

ნოზაძე „დინამომ“ 2005-06 წლების სეზონის დასრულების შემდეგ დააყენა ტრანსფერზე. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია „დინამოში“ დაბრუნება, თუ ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის თანახმადაც, უწინდელი კონტრაქტით გათვალისწინებულზე ნაკლები ჯამაგირი ექნება. ჯერჯერობით კი ეს საყრდენი ნახევარმცველი უგუნდოდაა.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად დროის
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

აკრეფვის წესი: წამობრივი
მობილურ ტელეფონზე დასარეკად აღრიცხვა
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გადამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა და ლაი-ლაის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეხლბულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

© 2002 FIFA TM

www.geocell.ge

# ბანანცი თბილისში უპასპორტოდ მოდის

## ნიკოლაი კისელიოვი ამერის დესანტმა შეაშინა

**თბილისის „დინამომ“ ინტერტოტოზე თამაში დაამთავრა, დღეიდან კი საერთაშორისო სარბიელზე ძალებს დანარჩენი სამი ქართული გუნდი მოსინჯავს. დღეს ბოლნისის „სიონი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას აზერბაიჯანულ „ბაკისთან“ გამართავს, ხოლო ზეგ უეფას თასის ასევე პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩებს თბილისური „ვიტ ჯორჯია“ და „ამერი“ ითამაშებენ. „ვიტ ჯორჯია“ სლოვაკურ „არტმედიას“ ესტუმრება, „ამერი“ კი სომხურ „ბანანცს“ დაუხვდება, გუნდს, რომლის მწვრთნელ ნიკოლაი კისელიოვს მატჩამდე ორი დღით ადრეც ვერ გადაუწყვეტია თბილისში რომელი ფეხბურთელები წამოიყვანოს და მეტიც, შესაძლოა, გუნდის რამდენიმე წევრს ერევანში დარჩენამ მოუწიოს. თუმცა რა და როგორ იქნება ხვალ გამოჩნდება, კისელიოვი თავის გუნდთან ერთად სწორედ ხვალ ჩამოდის და რა პრობლემებიც მოაქვს, მისივე სიტყვებიდან გაიგებთ...**

— თბილისში ოთხშაბათს კი მოვდივართ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რომელ ფეხბურთელებს წამოვიყვანთ. რამდენიმე ლეგიონერსა და ორ სომეხ ფეხბურთელს მოულოდნელად პასპორტთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნათ და ახლა ამის მოგვარებაზე ვზრუნავთ. შესაძლოა ისეც მოხდეს, ნახევარი გუნდი ერევანში დარჩეს — გვითხრა გუშინ „ბანანცის“ მწვრთნელმა.

**— ამ პრობლემების მოგვარება თუ ვერ მოესწრო, ალბათ, ძალიან გაგიჭირდებათ...**

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ დოკუმენტაცია მოვაწესრიგოთ, ვნახოთ რა გამოგვივა. სომეხი ფეხბურთელებისთვის სათანადო საბუთების გაფორმება, ალბათ, მაინც მოესწრება, თუმცა ლეგიონერების საქმე როგორ იქნება ნამდვილად ვერ გეტყვით.

**— თუ ყველაფერი კარგად იქნა, უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვალთ?**

— ერთი ცენტრალური ნახევარმცველი — ოსოიანი, მაინც დაგვაკლდება, ის შარშან უეფას თასის მატჩიდან გააძევეს და ახლა, „ამერთან“ ვერ ითამაშებს.

**— მეტოქეზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, ხვალისთვის ველი წინა სეზონში „ამერის“ ერთ-ერთი მატჩის ფირს და იმედია, მეტოქეზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც შევიქმნი. ისე კი, „ამერი“ ჩვენზე ინფორმაციის ნაკლებობას არ უნდა უჩიოდეს. მათი ორი წარმომადგენელი ერთი კვირა ერევანში იყო. ისინი ჩვენს ორ მატჩს დაესწრნენ, ყველაფერი ჩაინიშნეს, ყველაფერი გადაიღეს და ვფიქრობ, ჩვენს გუნდზე საკმაო ცნობები მოაგროვეს და ეს მაფიქრებს.

**— „ბანანცს“ „ამერის“ დესანტისთვის არაფერი დაუმალავს?**

— რა გვქონდა დასამალი?!

**— ვთქვათ, ფეხბურთელები...**

— არა, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. ის ორივე მატჩიც იმ შემადგენლობით ვითამაშეთ, რომლითაც „ბანანცი“ თამაშობს, ხოლმე.

**— „ბანანცის“ ყველაზე დიდი ნაკლი რა არის?**

— დაცვაში თამაში. ეს ხაზი ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკმოპლექტებული. ბიჭებს გამოცდილება და სტაბილურობა აკლიათ, ჯერ კიდევ შეუთამაშებლები არიან. გვსურს, რომ რამდენიმე მცველი დავიმატოთ, მაგრამ ეს „ამერთან“ მატჩებამდე ალბათ ვერ მოესწრება, თანაც აქაც დოკუმენტების პრობლემა იქნება.

**— ლეგიონერების დამატებას აპირებთ?**

— დიახ, რამდენიმე უკრაინელ, რუსს და ბელარუს მცველთან გვაქვს მოლაპარაკება და საკონტრაქტო პირობებზეც შეთანხმებულნი ვართ, მაგრამ საბუთებს ვერ ვაკეთებთ.

**— ასეთი პრობლემები რატომ გაქვთ?**

— არ ვიცი. ამ საქმეში კლუბის ხელმძღვანელობა უკეთ ერკვევა.

**— „ამერთან“ პირველ მატჩამდე ორი დღით ადრე როგორ პროგნოზს გააკეთებთ?**

— იქნება კარგი, დაძაბული და სანახაობრივი შეხვედრა. ისეთი როგორიც ყოველთვის გამოდის ხოლმე ქართულ-სომხური გუნდების მატჩები.

**ძოგა ინასარიძე**

### ბანანცის განაცხადი

**მეკარეები**

1 ნენად რადაჩა
16 რუსლან გალიგუზოვი
26 სტეპან კაზარიანი

**მცველები**

5 კარენ სიმონიანი
20 ოვანეს გრიგორიანი
15 ანდრეი ჩერევკო
6 ანდრეი ბურდიანი
17 არარატ არაკელიანი
4 აგვან აირაპეტიანი
3 ნარეკ მანუკიანი

**ნახევარმცველები**

9 არტაკ ოსეიანი
14 სერგეი სიზიხინი
24 ალექსანდრ დინდიკოვი
7 რომეო ჯენებიანი
21 სამველ მელქონიანი
10 სურენ სარგსიანი

**თავდამსხმელები**

25 არამ აკობიანი
19 ვაგე ტადევოსიანი
11 არსენ ბალაბეკიანი
12 სემენ მურადიანი
18 სარგის კარაპეტიანი

# ორი ახალი ფეროელებში

## ზესტაფონი გერმანიაში ლევერკუზენსაც გეგმავს

**8 ივლისს** „ზესტაფონმა“ ბარგი ჩაალაგა და გერმანიის ქალაქ გრიუნბერგში გაემგზავრა შეკრებაზე, სადაც ოთხი ტესტ-მატჩის გამართვასაც გეგმავს. ერთ-ერთი მეტოქე ბუნდესლიგელი „მაინცი“ იქნება, თუმცა, როგორც ფეროელთა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა გვითხრა, შესაძლოა, „ლევერკუზენთანაც“ გაიჩარხოს შეხვედრა.

გერმანიაში წასვლამდე „ზესტაფონმა“ თბილისში, ბორჯომსა და ურეკში გაიარა შეკრებები, რომლებშიც ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა. რაც შეეხება შემადგენლობას, მოლდოველი სერგეი ნუდნის გარდა გუნდი არავის დაუტოვებია — უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ფორმაშია და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

ფეროელებმა გერმანიაში რამდენიმე ჭაბუკიც წაიყვანეს, რომლებიც გასულ სეზონში „ზესტაფონი 2“-ში თამაშობდნენ. ჯერჯერობით გუნდი საფუძვლიან გაძლიერებას ვერ ახერხებს.

თუმცა, როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონში“ ორი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს: „თბილისის“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძე და ფოთის „კოლხეთის“ ფლანგელი ნახევარმცველი ლევან ვართაგავა. ორივეს თავიანთ კლუბებთან კონტრაქტი აქვს, თუმცა დიდი შანსია, „ზესტაფონში“ გადავიდნენ.

„გაძლიერება არც ერთ გუნდს არ აწყენს, მაგრამ ჯერჯერობით „ზესტაფონში“ ეს ვერ ხერხდება. ძალიან მინდოდა, ერთი ცენტრალური მცველისა და ერთი საყრდენი ნახევარმცველის დამატება. ვნახოთ, ჯერ სეზონის დაწყებამდე დროა და ხელი არ ჩაგვიქნევია. უამისოდაც „ზესტაფონი“ საკმაო ძალა იქნება და ჩემპიონატშიც და თასზეც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს. რაც მოსავარია, მზადების პროცესით კმაყოფილი ვარ, უცხოურ შეკრებაზე კი უკეთესად ვიქნებით“ — გვითხრა მერაბ კოჭლაშვილმა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ეს კაცი დატვირთეთ

## ფინკემ იაშვილს წინ და უკან მუშაობა დააკვალა

**ალექსანდრე იაშვილს** „ფრაიბურგში“ გამთამაშებლად ხშირად უთამაშია, თუმცა სამი თავდამხსმელის უკან — არასოდეს. ამჯერად კი ფოლკერ ფინკემ „ფრაის“ კაპიტანი მუშა შუახაზელად გაამწესა და ჩვენიანსაც შეტევების გარდა მეტოქის იერიშების ჩაშლაც ევალებოდა. თუმც „იერიშების ჩაშლა“ ნამეტანი სასაცილოდ გამოგვივიდა: რა უნდა შეეტია საწყალ „ლანგლეოკს“, რომელსაც „ფრაიბურგმა“ 30:0 გადაურბინა.

იაშვილმაც და ოთარ ხიზანეიშვილმაც მეორე ტაიმი ითამაშეს — ოთარი მარჯვენა ცენტრალური მცველი იყო და ორი გოლიც მიითვალა „იაში“ კი ერთი ბურთით დაკმაყოფილდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ზირაქიშვილმაც წითელ ხიდზე გადაიარა

## მეგრელაძეში 100 000?

**ბოლო** წლებში მოფულიანებული აზერბაიჯანული კლუბები კვლავ ეძებენ მათთვის საინტერესო ფეხბურთელებს საქართველოში. ამ ცოტა ხნის წინ აზერბაიჯანის ჩემპიონმა „ბაკიმ“ თბილისის „დინამოდან“ 27 წლის თავდამსხმელი გიორგი მეგრელაძე შეიძინა — არაოფიციალური ინფორმაციით, ბაქოელებმა ამ ფეხბურთელში 100 000 დოლარი გადაუხადეს „დინამოს“, ოფიციალურ ინფორმაციას კი ამ ტრანსფერის ღირებულებაზე არც ერთი მხარე არ ამზეურებს.

გუშინ კი აზერბაიჯანში წავიდა კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელი — 31 წლის ზაზა ზირაქიშვილი. ის თავისუფალი აგენტია და მისით თოვუზის „თურანია“ დაინტერესებული. ზირაქიშვილი თოვუზში „თურანის“ ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლადაა ჩასული. ტრანსფერის საკითხი, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გადაწყდება. აწ დასრულებულ აზერბაიჯანის ჩემპიონატში „თურანი“ მეექვსე ადგილზე გავიდა და ამ გუნდში ჩვენებური მცველი ირაკლი ვაშაკიძე თამაშობდა.

**დავით თამგართელაძე**

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

**12 ივლისს, 18 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართება „ამერის“ პრესკონფერენცია.**

**პრესკონფერენციაზევე გაიცემა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ამერი“ — „ბანანცის“ მატჩის აკრედიტაციები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორტე ალა ფრანჩა, იტალია ანელა

გიო ახვლედიანის

სვეტეული

**ამ თამაშს** ორი მილიარდი ადამიანი უყურებდა.

თამაში იყო თვალსასეირო, მაგრამ არა კლასიკური.

იტალიამ ალბათ ყველაზე თანაბრად გაიარა მსოფლიო ჩემპიონატი და ვერავინ იტყვის, რომ იტალია შემთხვევითი ჩემპიონია, ანდა ჩემპიონობა ულირსად მოიპოვა.

იტალიამ მოიგო იმით, რომ ტრეზეგემ ძელს მოარტყა თავისი პენალტი.

იტალიამ ადრევე დაიწყო პენალტების ლოდინი (დღეს ასე ჰქვია გამარჯვების ლოდინს) — მთელ 70 წუთს იცდიდა. არადა, სანამ უტევდა, კარგად გამოსდიოდა. საერთოდ, კარგი გუნდი იყო. ოღონდ, დღევანდელი სამსოფლიოთასო ფეხბურთი ისეთია, რომ უნდა მიხვდე, გუნდი კარგია თუ ცუდი, დანახვით ბევრს არაფერს დაგანახებს.

საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთში ძნელად მოიძებნება ისეთი ერთგვაროვანი თამაშები, როგორებიც მსოფლიო თასი ფინალშია ხოლმე. მე ძველებურ წესებს ვემხრობი, საკლუბოშიც და სანაკრებოშიც: გაუქმდეს გასვლაზე გატანილი გოლის უპირატესობა, გაუქმდეს პენალტების სერია. ფინალამდე გაუქმდეს დამატებითი დროც. როგორ? როგორ და ისე, ითამაშე ოთხმოცდაათი წუთი? ვერ მოიგე და არ წააგე? ითამაშე ხვალაც. იდიოტობაა ეს 120-წუთიანი ფრეები, რომლებშიც ბევრი არაფერი ყრია. ხო გყავს 23 კაცი განაცხადში? ითამაშე ხვალაც, ანდა იყოს განაცხადში 25. რა დიდი სხვაობაა?

ეგზოტიკურ რამეებს ვამბობ, მე მგონი, მაგრამ ასე მგონია და რა ვქნა.

ერთმატჩიანი პლეიოფი ასეთ შეჯიბრს კლავს.

ამეებს იმიტომ კი არ ვამბობ, რომ იტალია ჩემპიონია. სისულელეა. უბრალოდ, ჩვენ კი ვერთობით ამ პენალტებით, მაგრამ მანამდე 120 წუთი გვაქვს ნანახი და იმ 12 წუთში გვირჩევნია. უფრო კიდევ ოთხმოცდაათში.

ეს ფრე-ფრე თამაშები თავისი იერით სანახაობისკენ კი წავიდა, მაგრამ შინაარსით დიდი არაფერია. რაღა დაგიმალოთ და, ვიფიქრე, საპლეიოფო ფეხბურთი კრიკეტს დაემსგავსაო. კრიკეტი კარგი თამაშია, ოღონდ კრიკეტია.

ჰოო, მეტი მე არ ვიცი.

მე, უბრალოდ, ვიცი, რომ ბოლო წლებში რაც ტელევიზორში ფეხბურთი მინახავს და იქ მარკო მატერაცი დამილანდავს, მისგან ყოველთვის უარყოფითი და ოხრული რამეები მოდიოდა: ჩეხავდა, ქაჩავდა, როგორც ირკვევა, ცუდ რაღაცებსაც ეუბნებოდა. ამ ჩემპიონატზე მატერაცი სულ დადებითისკენ იყო, ისიც კი ვიფიქრე, აგე, რას ნიშნავს ლიპის ხელქვეით მუშაობა-თქო, იმიტომ, რომ მატერაციმ გოლებიც გაიტანა და დაცვაშიც ადამიანად გამოიყურებოდა და არა ნაჯახიან, ვერაგ კაცად.

მატერაცის ბოლო გმირობა გეხსომებათ: ჩემპიონთა ლიგის „ინტერ“ — „ვილიარეალის“ მატჩში სორინის ცხვირ-პირს რომ იდაყვი დაუხვედრა, ვითომ არც ვიცოდიო და საქმიდან რომ მშრალად გამოძვრა.

ასეთი ფეხბურთელების ხელობაც ეს არის, მშრალად თუ არ გამოძვრნენ, მოედანზე ვინ დატოვებს?

მატერაცი გუშინ გმირი იყო: გოლიც გაიტანა, პენალტიც გაიტანა და ზიდანისგანაც გაილახა, ისე, რომ ეს უთქმელი, ბრაზიანი დიადი კაცი თავის ბოლო თამაშში, ფინალში, მინდვრიდან გააგდო ფიზკულტურის მასწავლებელმა და მოყვარულმა პოეტმა ორასიო ელისონდომ.

ელისონდოს ეს მომენტი არ დაუნახავს, მონათხრობით გააგდო და ცამდე მართალი იყო.

ამ ჩემპიონატის დროს სულ პირველად რომ დავწერე ზიდანზე, ვთქვი, თავის ძგერება იცოდა და უნდა ვაპატიოთ-მეთქი. ჯგუფის თამაშშიც მთლად თავი არა, მაგრამ კი ეძგერა ვიღაცას. ზიზუა, ძგერება იცის. მაგრამ იმის გარდა ათასი სხვა რაღაცაც, სრულიად ჯადოსნური. ოთხი შვილის მამაა, თავის ბოლო თამაშზეა, შეიძლება, მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. მე თუ მკითხავთ, თამაშის მიწურულისკენ ზიზუ ფეხბურთელი აღარ იყო. მერე ამბობდნენ, პროფესიონალი ეგრე არ უნდა იქცეოდესო.

ზიდანი პროფესიონალი არ არის, ზიდანი გენიოსია.

ეს თავის ძგერება ყოველთვის იცოდა, გადაეკეტებოდა ხოლმე.

მაგარი კიდევ ის არის, რომ მსოფლიოს ყველაზე კარგმა ფეხბურთელმა მსოფლიოს ყველაზე ვერაგი ფეხბურთელი გალახა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის დამატებით დროში და ფეხბურთიდან წავიდა, წასვლაც ეგ არი. თასით ყველას შეუძლია. ყველა იოლად დაიჭერს იმ თასს, თუ მივიდა იქამდე.

ისე, ზიდანი რო ხარ, კი უნდა იცოდე, რო მატერაცისნაირები გაგიჩალიჩებენ. მაგრამ დგება წამი, როცა ეს ყველაფერი ფეხებზე გკიდია. ცხოვრებაში ბოლო თამაში გაქვს და იმის ღირსი არ ხარ, რომ ვიღაცა ყასაბმა ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი ჰაერში გაგიციოს, მერე კი მოდიოდეს და მოგძახოდეს საგინებელ სიტყვებს. შენ იცი, რომ ეს თამაში შენ ხარ და მაინც, ტრიალდები და ურტყამ. ამას შეიძლება ამპარტავნობა დაერქვას, მაგრამ მეორენაირად ღირსების გრძნობა. ეგებ, ზიზუს სულაც აღარ უნდოდა, რომ მატერაცის ნაგინებს სჭეროდა ხელში ის თასი. ეს არის, რომ ფრანგები ათნი დარჩნენ, თუმცა იმ წუთში ამას არ ფიქრობ. ზიზუ ხარ და ფიქრობ, მე: ზიზუ... მე მივდივარ და ეს ვიღაც ნაკოლკებიანი ახმახი გინებით მაცილებს. რატომ? იმიტომ, რომ ეს თამაშის წესია.

უნდა მოითმინოო, თქვა თამაშის შემდეგ ალან შირერმა, ვისი ჩუმი ბილწსიტყვაობაც მინდორზე წიგნებშია აღწერილი, მთელი მსოფლიოს გაზეთები აჭრელებულია: ჯადოქრის სამარცხვინო წასვლა! ზიზუს სირცხვილი!.. ეს რა ქნა.

ფეარ ფლეი დაარღვიაო. მატერაციამ არ დაარღვია? თუ ფეარ ფლეიში მხოლოდ წიხლი შედის და არა ლაპარაკი.

იცით, რა?

არიან გალსტუკიანი ფეხბურთელები: პელე, ბეკენბაუერი, პლატინი... არიან უგალსტუკო ფეხბურთელები: მარადონა, ბესტი, კანტონა, ბასლერი... ამბობენ, რომ გალსტუკიანები უფრო დიადნი არიან, მაგრამ მე უგალსტუკოების მხარეს ვარ. ჰოდა, ზიზუც უგალსტუკო ყოფილა.

მას, უბრალოდ, აღარაფერი ჰქონდა დასამტკიცებელი. ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, უნდოდა. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ნამდვილი ცხოვრება აირჩია.

თამაშის მერე ამბობდა, ვწუხვარ, ასე რომ გამოვიდაო, მაგრამ ბოდიში მოიხადა თუ არა, უცნობია.

ბოდიში ალბათ თანაგუნდელებისთვის იქნება განკუთვნილი, თუ იქნა საერთოდ.

ფინალის წინ არსენ ვენგერმა თქვა, თუ დღეს საფრანგეთი მოიგებს, სრული უფლება გვექნება, ზიდანი პელესა და მარადონას გვერდით დავაყენოთო.

გაირკვა, რომ ზიზუს არსად დგომა არ უნდა.

ნაგავი წავა და ჩემი ფეხბურთი დარჩება! ეს სიტყვები ამ ჩემპიონატის დროს არაერთხელ გადმოვიწერე ჯორჯ ბესტის წიგნიდან.

ფეხბურთს წითელი ბარათით გამოეთხოვა თავისი უკანასკნელი დიდი შემოქმედი.

ეს რაღაცას გვეტყვის, თუ დავფიქრდებით.

იტალია კი ღირსეული ჩემპიონია. მით უმეტეს, იმ სამარცხვინო ამბის ფონზე, რაც ახლა ხდება იტალიურ ფეხბურთში.

მარჩელო ლიპი, მართლაც საოცარი კაცი, იმსახურებდა დიდ ჯილდოს.

რა კარგია, რომ ჩემპიონატი დამთავრდა.

თორე, ჩავიხოცებით ამ პენალტების ცდაში.

ზინედინ ზიდანის სამუშაო სამოსი: ბუცები. ერთ დროს ნილტონ სანტოსი თავის ბუცებს სამეჯლისო ფეხსაცმელს უწოდებდა. ეს ზიზუსაც შეეძლო ეთქვა, მაგრამ ის დიდად არასდროს ყოფილა თქმების კაცი. ეგებ სწორედ ხასიათის ამ თვისებებში ძევს ის, რაც კვირა საღამოს ბერლინში მოხდა

AFP

# მატერაცი: პროვოკაციის მატრიცა

## რა უთხრა იტალიელმა ზიდანს, რომელსაც საფრანგეთში ავყია მარკოზე მეტი და მწარედ მოხვდა?

## რატომ ჩაიდინე ეს, ზიზუ?

**ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗ** დილით საფრანგეთმა პირში დამარცხების უსიამოვნო გემოთი გაიღვიძა და იკითხა — რატომ ჩაიდინე ეს, ზიზუ?

დიახ, თავის ბოლო შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა და ნახევარდაცვის გენიოსმა მოწინააღმდეგისთვის მკერდში თავის დარტყმისთვის წითელი ბარათი მიიღო. ეს გახლდათ სამარცხვინო დასასრული დიადი კარიერისა. დასასრული, რომელმაც მას მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტ პენალტებში მონაწილეობის საშუალება მოუსპო.

„ლურჯი ანგელოზი ეშმაკად გარდაისახა“ — წერდა გუშინდელი „ლე პარიზიენი“ მთელი საფრანგეთის უსაყვარლესი ფეხბურთელის შესახებ.

და მაინც, იმავ „ლე პარიზიენში“ პირველ გვერდზე ეწერა მადლობაც — ლურჯების, იმავ სამფეროვანთა ნაკრები ხომ რვა წელიწადში მეორედ გავიდა მუნდიალის ფინალში.

„ლიბერასიონის“ პირველ გვერდზე ეწერა ერთი სიტყვა — „სისასტიკე“, ხოლო „ლე ფიგაროს“ სათაური გახლდათ: „ლურჯების დამსხვრეული ოცნება“.

მაგრამ, წამყვანი სპორტული გაზეთი „ეკიპი“ კლოდ დრუსეს სარედაქტორო წერილში ძირითად ყურადღებას ზინედინ ზიდანის საქციელზე ამახვილებდა და მას პირდაპირ და უხეშად სულელურს უწოდებდა. დრუსე ამტკიცებს, რომ ამ სისულელის ზიდანისთვის პატიება მეტად ძნელი იქნება.

„ზიდან, იცოდე, დღევანდელი დილის უდიდესი პრობლემა იმის მიხვედრა კი არ არის, რატომ წააგო შენმა საფრანგეთის ნაკრებმა, არამედ ათეულობით მილიონი ადამიანისთვის იმის ახსნა, რატომ ულალატე საკუთარ თავს და რატომ დაარტყი მარკო მატერაცის. რა ვუთხრათ ახლა ჩვენს შვილებს და იმ ხალხს, ვისთვისაც შენ მაგალითი იყავი? როგორ მოუვიდა ასეთი რამ შენნაირ ადამიანს?“

გაზეთი ზიდანს კატეგორიულად აკრიტიკებს მატჩის შემდეგ მოედანზე არგასვლისა და მედლის არგამორთმევის გამოც. „ეკიპის“ აზრით, ესეც თანაგუნდელთა ღალატი იყო.

ზიდანს ეს ყველაფერი ჯერ თავისი თანაგუნდელებისთვისაც აქვს ასახსნელი. გასარკვევია, რა უთხრა ასეთი მატერაციმ ზიზუს, რომ თაობის საუკეთესო ფეხბურთელის აი, ასეთ პასუხს იმსახურებდა.

„ერთადერთი, რაც ზიზუს მინდა ვუთხრა და, ვფიქრობ, ერთადერთი, რაც ფრანგულმა ფეხბურთმა შეიძლება მას უთხრას, არის „გმადლობთ“ და მხოლოდ „გმადლობთ“ — ეს სიტყვები კი სამფეროვნების თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ თქვა.

მცველი ვილი სანიოლი: „ჩვენ მას დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ, რადგან ის რომ ნაკრებში არ დაბრუნებულიყო, დღეს ჩვენ ფინალში არ ვიქნებოდით“.

**ჯონ ბოილი, „რეიტერი“**




**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ** ნაკრების მწვრთნელი მარჩელო ლიპი ფინალის საღამოს კატეგორიულად აცხადებდა, რომ მარკო მატერაცის ზინედინ ზიდანისთვის არანაირი პროვოკაცია არ მოუწყვია. ლიპი იშველიებს იმ ფაქტს, რომ მსაჯი ორასიო ელიზონდო ვითარებაში გასარკვევად მეოთხე და მეხუთე მსაჯებთან მივიდა, ვინაიდან მთავარ არბიტრისთვის საყურადღებო არაფერი მომხდარა.

„დაკვირდით, მსაჯის ყურადღება მატერაცის ერთი წამითაც არ მიუპყრია — თქვა ლიპიმ თავისი ფეხბურთელის დასაცავად — მოედნის პირას ვიდეოჩანაწერს მეოთხე და მეხუთე მსაჯებმა უყურეს და მათ სცადეს საქმის არსში გარკვევა. ჩვენ ხმაც არ ამოგვიღია. ეს მათ ნახეს ყველაფერი და მათ დაუძახეს მსაჯს“.

შემდეგ ლიპიმ კატეგორიულად უარყო ისიც, რომ მატერაციმ თვალისთვის სრულიად შეუმჩნევლად ჩაიბურტყუნა რაღაც, რამაც ზიდანის საპასუხო რეაქცია გამოიწვია.

— ხვალ ფრანგი ხალხი გაიგებს სიმართლეს ზიდანის შესახებ — თქვა ტაქტიკოსმა — მატერაციმ არაფერი ჩაუდენია, მას დაარტყეს და ატკინეს“.

საკუთრივ მატერაციმ სურათს ნათელი ვერ მოჰფინა. მან ძალიან სწრაფად ჩაუარა მასთან საუბრის მოსურნე ჟურნალისტებს და თან თავის მობილურს აწვალებდა.

ფიფას ოფიციალურმა ჰირმა, მატჩის კომისარმა ალან ლეიბლანგმა კი ლიპის სიტყვები ვერც დაადასტურა და ვერც უარყო, ჯერ მსაჯებთან არ მილაპარაკია და ვერაფერს მოგახსენებთო.

რაც შეეხებათ ფრანგ ფეხბურთელებს, ისინი თითქოს ომერტას წესით იყვნენ შეკრულნი — არავინ, ვიმეორებთ, აბსოლუტურად არავინ არ იცოდა, რატომ ჩაიდინა ზიდანმა ის, რაც ჩაიდინა.

„გულწრფელად გეტყვით, მე არ დამინახავს, რა მოხდა და რამდენადაც ვიცი, ჩვენს გუნდში ეს არავის შეუმჩნევია. ასე რომ, ლაპარაკი იმაზე, რაც არ იცი, უბრალოდ, არასწორი იქნებოდა“ — თქვა ტიერი ანრიმ.

დაირხა ჭორები, თითქოს მატერაციმ რასისტული შინაარსის რეპლიკა მიაყოლა ზიდანს, მის არაბულ წარმოშობას შეეხო, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს ტყუილს, ვინაიდან, მიუხედავად მთელი ტანის შემაშინებელი სვირინგებით აჭრელებისა, მატერაცი „ინტერში“ ყველაზე მეტად ნიგერიელ ობაფემი მარტინსთან მეგობრობს.

განსხვავებული იყო ფრანგთა მწვრთნელის, რაიმონ დომენეკის კომენტარი, რომელმაც მატერაცი ლამის მისი გუნდისთვის თასის წართმევაში დაადანაშაულა.

„თამაშის საკვანძო მომენტი სწორედ ზიდანის გაძევება გახლდათ და მან ყველაფერი შეცვალა. დამატებით დროში ჩვენ იტალიაზე უკეთ ვთამაშობდით და, დამეთანხმებით, მეტოქე პენალტებსღა ელოდა. ამიტომაც არის სამწუხარო, რომ ჩვენმა გუნდმა ბოლო ათი წუთი ზიდანის გარეშე ითამაშა. მოკლედ, მსაჯი ჩვენკენ აშკარად არ იყო. მე არ ვიცი, რა უთხრა მატერაციმ ზიდანს, მაგრამ ფაქტია, რომ მატჩის გმირი ანდრეა პირლო კი არა, სწორედ ის იყო, რადგან ანგარიშიც მან გაათანაბრა და ზიდანიც მან გააძევებინა, წაქცევისას კი დიდი შოუ მოაწყო“.

**ᲨᲘᲜ ᲘᲜᲒᲚᲘ „ᲒᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლებეფს რცხვენია და არ აპატიებს

**ფრანკ ლებეფი** ყოფილ თანაგუნდელ ზინედინ ზიდანს წითელი ბარათისთვის კიცხავს — ლებეფი ის კაცია, ვინც 1998 წელს ზიდანთან ერთად აღმართა ოქროს თასი, მაგრამ ახლა ვერ გაუგია, რატომ „ჩაიჭრა“ ლეგენდარული ნახევარმცველი თავისი კარიერის ბოლო შეხვედრაში.

„ჩელსის“ ყოფილმა მცველმა თქვა: „ვერ მივიღებ და შევეგუები იმას, რაც ზიდანმა გააკეთა. ვფიქრობ, მატერაციმ მას რაღაც ძალიან ცუდი უთხრა და მისი რეაქცია პასუხი იყო, თუმცა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რა თქვა მატერაციმ. ზიდანის საქციელს არანაირი გამართლება არ აქვს. მე მრცხვენია, რადგან მან ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც ამ გუნდის წევრები არ სჩადიან“.

შემდეგ ლებეფმა კიდევ უფრო მწვავედ თქვა — ზიდანს ამ საქციელს ვერასოდეს ვაპატიებო, ოღონდ იმედიც გამოთქვა, რომ ეს ერთი ეპიზოდი დიდი ფეხბურთელის ბრწყინვალე კარიერას ვერ დაჩრდილავს.

„ზიდანი დიდი ფეხბურთელი იყო და საუცხოო ადამიანია. ვერაფრით გამიგია, რა მოხდა, ის ხომ მეტად მორიდებული პიროვნებაა, ჩუმი, უთქმელი ბიჭია. მას არაფერი აქვს საერთო ისეთ ბიჭებთან, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც ზიდანი მოიქცა გუშინ. ის მოვალე იყო, მხოლოდ ერთ დიდ მიზანზე, მსოფლიოს თასზე ეფიქრა. დასანანია ასეთი დიადი კარიერის ასეთი საქციელით დამთავრება“.

**პაპუნა კედია**

# დამნაშავეა მატერაცი

**უილიამ გალასი** ამბობს, რომ ზინედინ ზიდანმა მარკო მატერაცის თავი იმიტომ დაარტყა, რომ იგი „წამოიკიდეს“. კვირას, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა თავისი ბოლო მატჩი პროფესიულ ფეხბურთში უღირსად დაამთავრა, რის მერეც იტალიამ პენალტებით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო, თუმცა გალასი დაჟინებით იმეორებს, რომ მისი თანაგუნდელი ასე მხოლოდ მარკო მატერაციის მოწყობილი პროვოკაციის გამო მოიქცა.

„ჩელსის“ მცველმა თქვა: „მე უშუალოდ არ დამინახავს ის ეპიზოდი, მაგრამ ხშირად ფეხბურთი მარტო ბურთი არ არის. ხანდახან, როდესაც შენთან მოდის ძალიან „ჭკვიანი“ ფეხბურთელი და რაღაცას გისისინებს, შეიძლება ისე გაცხარდე, რომ მისი მოკვლა მოგინდეს“.

სხვათა შორის, მატჩის შემდეგ მატერაციმ სკანდალური ეპიზოდის განმარტებაზე უარი განაცხადა, რამაც გალასი კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ის დამნაშავეა და დანაშაულს სწორედ ამ დუმილით აღიარებს.

გალასმა დასძინა: „არ ვიცი, რა თქვა მატერაციმ. ეს თავად მას უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ის წავიდა. ფაქტია, ის იმიტომ წავიდა და პასუხს იმიტომ გაერიდა, რომ რაღაც ცუდი აქვს ჩადენილი“.

და, ბუნებრივია, ისევე, როგორც ფრანგთა უმეტესობა, ზიდანის კარიერის ასეთი დასასრულით გალასიც გაოგნებული და დაზაფრულია.

„ზიდანის ამბავი მეტად გულდასაწყვეტია ყველასთვის, მისთვისაც და მთელი ჩვენი გუნდისთვისაც. ძალიან ვდარდობ, ასე რომ მოხდა. ეს მისი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და ყველას გვინდოდა, რომ ფეხბურთიდან ჩემპიონის რანგში წასულიყო. ჩვენ მართლაც ვიმსახურებდით გამარჯვებას, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება. ვფიქრობ, იტალიაზე უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ ფეხბურთი ხშირად უცნაურობებს გვთავაზობს. იმედი მაქვს, შემდეგ ჩემპიონატში გავიმარჯვებთ“.

**გევინ გლიქსმენი, „სანი“**

# და მაინც: ზიდანი საუკეთესოა!

ზინედინ ზიდანი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და „ოქროს ბურთით“ დააჯილდოებენ — და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი ვარსკვლავი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოედნიდან გააძევეს. ფიფამ საუკეთესო იმ ჟურნალისტების გამოკითხვით დაადგინა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ოფიციალურად იყვნენ აკრედიტებულნი.

გამარჯვებულმა 2012 ხმა მიიღო, მეორე ადგილზე გასულმა ფაბიო კანავარომ 1977, ხოლო მესამეზე აღმოჩნდა კანავაროს თანაგუნდელი, ანდრეა პირლო 715 ხმით.

„ფეირ პლეის“ ჯილდო ერთდროულად ორ გუნდს, ბრაზილიას და ესპანეთს ერგო.

გუშინ პარიზში დაბრუნებული ზიდანი საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ანუგეშა





ზიზუს ყრმობისდროინდელი მწვრთნელი ალენ ლეპო და თავად ზიზუ სიყმაწვილეში



ალჟირელ დალაქებს საქმე არ აკლიათ, ყველას „ა ლა ზიზუ“ ვარცხნილობა უნდა



ძმით ამაყი ზიდანის ძმა ჯამალი



# იტალია მადლობად დაიღვარა

## მარადონას ზარი

„სკუადრა აძურას“ არგენტინელისთვის, მაურო კომორანეზისთვის ფინალამდე ცოტა ხნით ადრე თვით დიეგო მარადონას დაურეკავს და წარმატება უსურვებია.

„ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო. წარმოიდგინეთ, საშუალება მომეცა, მარადონას დავლაპარაკებოდი. ძალიან ბედნიერი ვარ და ამაყი ჩვენი გამარჯვებით. საოცარი გრძნობაა, ემოციებისგან ჯერაც ვერ დავცლილვარ. დიდი მადლობა ყველას, ვინც მენდო, მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას“ — თქვა კამორანეზიმ.

შეგახსენებთ, რომ მატჩის შემდეგ „ვერონას“ ყოფილმა და ამჟამად „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა პირდაპირ მოედანზე შეიჭრა თმები. დალაქის როლი „ლაციოს“ მცველ მასიმო ოდოს დაეკისრა, დანარჩენი თანაგუნდელები კი მათ გარშემო იყვნენ შემოკრებილნი და ინდური რიტუალის მაგვარ ცეკვას ასრულებდნენ. ალბათ, კამორანეზის თხოვნით, მას ხომ ინდური სისხლიც ურევია.

## უძილო ღამე

როგორც ირკვევა, იტალიელ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს ფინალის წინა ღამეს არ ეძინათ, რამაც მათ თამაშს თავისი დაღიც დაასვა და მატჩის ბოლოსკენ დაღლილობა აშკარად დაეტყოთ, მაგრამ...

„ფანტასტიკური გრძნობაა. ჩემმა შვილმა ფინალის წინა ღამეს მთხოვა, შენს ლოგინში დავწვები და ერთად დავიძინოთო. მას შევპირდი, რომ მალე მსოფლიოს ჩემპიონობასაც გავიყოფდით. იტალიას ეს გამარჯვება სჭირდებოდა, მით უმეტეს, იმ ყველაფრის მერე, რაც ბოლო თვეებში მოხდა. ბუნებრივია, ძალიან მძიმე მატჩი იყო და, როცა საქმე პენალტებამდე მივიდა, რაც ჩვენთვის კოშმარის ტოლფასია, ცოტა კი ვნერვიულობდი, მაგრამ თანაგუნდელების ბოლომდე მჯეროდა. გამახსენდა, როტერდამში ფრანგებთან წაგებული ევროპის ჩემპიონატის ფინალიც, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩვენ ეს დავიმსახურეთ“ — თქვა „სკუადრა აძურას“ კაპიტანმა ფაბიო კანავარომ, რომელიც ამ მუნდიალზე ბრწყინვალე იყო და საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის ბრძოლაში ზინედინ ზიდანს ოდნავ ჩამორჩა.

მთლიანად ტურნირზე იტალიელთა შეტევების სულისჩამდგმელი ანდრეა პირლო ფინალის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს:

„ახლაც ვერ ვიჯერებ. მინდა, ეს ზეიმი დაუსრულებლად გაგრძელდეს. ოცნება აგვიხდა და არ გვინდა, გაგვეღვიძოს. ეს საოცრად შეკრული გუნდი იყო, რომელმაც დაიმსახურა ჩემპიონობა. ავსტრალიასთან გამარჯვების შემდეგ საკუთარი თავის ბოლომდე ვირწმუნეთ. ფრანგებთან ძირითად დროში მოგება გვსურდა, მაგრამ საქმე დამატებით დრომდე მივიდა და ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო და არ შეგვეძლო. არ ვიცი, საიდან მოდიოდა ენერგია. საბედნიეროდ, მე ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი, ვისაც ფინალის წინა ღამეს ეძინა. რას ვგრძნობდით პენალტების დროს, სიტყვით ვერ გადმოგცემთ. კანავარომ მითხრა, დამშვიდებულიყავი და როდესაც ბურთთან მივედი, სხვა ყველაფერი დავივიწყე. საბედნიეროდ, ამჯერად გაგვიმართლა, გამარჯვებას ჩემს ცოლს ვუძღვნი, რომელიც ფეხმძიმედაა“.

ჯენარო გატუზო ერთ-ერთი საუკეთესო იყო ფინალის დღესაც და მთლიანად მუნდიალზეც: „ჩემი აზრით, „კალჩოპოლის“ სკანდალი რომ არა, მსოფლიოს ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. ამან დამატებითი სტიმული მოგვცა და დავამტკიცეთ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში იტალიური ფეხბურთი. სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ შოკში ვარ. მსოფლიოს თასი საკმაოდ მძიმეა, მაგრამ როცა ხელში გიჭირავს, ბრწყინვალე გრძნობაა. ვფიქრობ, დღეები, თვეები, და შესაძლოა, წლები დაგჭირდეს იმის რეალურად გასააზრებლად, თუ რას მივაღწიეთ. ფინალის წინა ღამეს ისე ვნერვიულობდი, დილის 7 საათამდე ვერ დავიძინე და საპირფარეშოში 28-ჯერ ვიყავი. მინდორზეც დაძაბული გავედი, მაგრამ ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. საკუთარ თავს ვარსკვლავად ნამდვილად არ ვთვლი, უბრალოდ, ჩემნაირი მოთამაშე ყველა გუნდშია საჭირო. ტიტულს ბაბუაჩემსა და მშობლებს ვუძღვნი“.

„სანამ პენალტის ნიშნულამდე მივიდოდი, ვფიქრობდი საით დამერტყა და ცოტა ვნერვიულობდი, მაგრამ როცა ბურთი მიწაზე დავინახე, უკვე ყველაფერი ცხადი იყო და აღარც ვღელავდი. ზუსტად 10 წლის წინ „იუვენტუსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგე, მას მერე ამგვარი საოცარი გრძნობა არ მქონია. ეს სიამოვნება ყველაფერს გვავიწყებს, წარსულის იმედგაცრუებასა და პრობლემებს. სხვათა შორის, მატჩამდე მშვენივრად მეძინა. უბრალოდ, ვფიქრობდი მხოლოდ ფრანგებთან მატჩზე, ოღონდ არა როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე“ — აღნიშნა ალესანდრო დელ პიერომ.

„როდესაც ზიდანმა პენალტი გაიტანა, ერთმანეთს თვალებში შევხედეთ და გავიაზრეთ, რომ ვითარება უნდა გამოგვესწორებინა. სწორედ ამ მებრძოლი ხასიათით გავიარეთ მთელი ტურნირი. ერთი თვის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ასეთ წარმატებას, რაც ორმაგი ზეიმის საფუძველს გვაძლევს. გოლი ვერ გავიტანე, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი საერთო გამარჯვება, პენალტი კი იმიტომ არ დავარტყი, რომ დაღლილი ვიყავი, თან ცოტა მუხლიც მაწუხებდა“ — განაცხადა მუნდიალზე ორი გოლის გამტანმა ლუკა ტონინმ.

## მადლობა ლიპის

იტალიელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი რომ მაესტრო მარჩელო ლიპია, ამაზე ყველა თანხმდება. 58 წლის სპეციალისტმა მართლაც საოცრად იმუშავა, მუნდიალის მსვლელობისას უამრავი ტაქტიკა და სტილი მოსინჯა, სათადარიგო მეკარეების გარდა მინდორზე უკლებლივ ყველა მოთამაშე შეუშვა და საბოლოოდ მსოფლიო თასის გვერდზე საყვარელი სიგარითაც ვიხილეთ.

ფაბიო კანავარო: „პირველიდან ბოლო მატჩამდე თქვენ უაღრესად დაბალანსებული და თვითდაჯერებული ნაკრები იხილეთ, რაც მარჩელო ლიპის დამსახურებაა. ჩვენ საოცარი მწვრთნელი გვყავს, რომელმაც სწორ გზაზე დაგვაყენა და რაც მთავარია, გვაგრძნობინა, რომ იმაზე ბევრად ძლიერები ვართ, ვიდრე გვეგონა და ასეთები შეგვიძლია, მომავალშიც ვიყოთ“.

„ეს ჩემთვის ორმაგი გამარჯვებაა, რადგან მწვავე კრიტიკის გადატანა მომიხდა. თუმცა მძიმე ტრავმის შემდეგ ფეხზე დადგომა მოვასწარი და ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ, რაც მუნდიალზეც დამტკიცდა. ლიპიმ მთხოვა, პატრიკ ვიეირასა და კლოდ მაკელელეს უკან მეთამაშა, მაგრამ იქ არანაირი სივრცე არ იყო და ძალიან გამიჭირდა, ბურთთან მისვლის შანსს არ მაძლევდნენ. არასოდეს გავბრაზებულვარ, როცა მწვრთნელი მცვლიდა. პირიქით, ლიპის დიდი მადლობელი ვარ, რომ მენდო და მუნდიალი მოგვაგებინა“ — თქვა „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ, რომელიც უახლოეს დღეებში საბოლოოდ გადაწყვეტს, დაასრულოს თუ არა სანაკრებო კარიერა.

ლიპის მადლიერია მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა ფაბიო გროსიც, რომელმაც იტალიის წარმატებაში ლომის წილი დაიდო. ჯერ ავსტრალიასთან პენალტი მოინადირა, მერე გერმანიას დამატებითი დროის მიწურულს გაუტანა და ფინალში გადამწყვეტი თერთმეტმეტრიანიც შეაგდო. არადა, განასთან პირველ მატჩში იგი „სკუადრა აძურას“ უსუსტესი წერტილი იყო, მაგრამ შემდეგ პალერმოელი ბრწყინვალედ ათამაშდა: „ერთი თვის წინ ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, თუმცა გამარჯვება დავიმსახურეთ, რადგან შეკრული, მებრძოლი ნაკრები გვყავს და მსოფლიოს თასი ძალიან გვინდოდა. როდესაც მწვრთნელმა პენალტების შემსრულებელთა სია ჩამოწერა, ვკითხე, დარწმუნებული იყო თუ არა, რომ ბოლოს მე უნდა დამერტყა, მან მითხრა, რომ მენდობა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. დღეს რომ აქ ვარ, დიდწილად სწორედ ლიპის დამსახურებაა. მან ბრწყინვალე ნაკრები შექმნა, რომელსაც მუნდიალის მოგება ძალუძს. სტადიონზე ჩემი ცოლიც იყო, ვისაც მივუძღვენი კიდეც გამარჯვება, მაგრამ იმედია, ძალიან არ ინერვიულა, რადგან ფეხმძიმედაა“.

## ეს იყო ჰესოტოსთვის

ცხადია, ფეხბურთელებს არც ჯანლუკა პესოტო დავიწყებიათ, რომლის მდგომარეობაც უფრო გაუარესდა. ამის გამო მას ფინალის ყურების ნება არ დართეს. თუმცა ექიმები ოპტიმიზმს არ კარგავენ, მაგრამ არც იმას მალავენ, რომ სარეაბილიტაციო პერიოდი ძალიან ნელა მიდის და ვითარებაც მძიმეა.

ჯანლუკა ძამბროტა: „რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება პესოტოს ეძღვნება, ახლა მას ცხოვრებაში ურთულესი პერიოდი უდგას. ეს ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მუნდიალი. ჯანლუკა ჩვენი მეგობარი და ჩინებული ადამიანია, იმედია, მალე ყველაფერი ძველებურად იქნება და იგი სრულიად ჯანმრთელი დაგვიბრუნდება“.

## ძველებმა ახლები აღიარეს

ცნობილი იტალიელი ნახევარმცველის და ამჟამად „იუვენტუსის“ ერთ-ერთი ახლადარჩეული დირექტორის მარკო ტარდელის თქმით, ახლანდელი „სკუადრა აძურა“ რაღაცით 1982 წლის ნაკრებს ჰგავდა და გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურა.

მარკო ტარდელი: „მთელი ტურნირი სტაბილურად ჩავატარეთ და გამარჯვება უდავოდ დამსახურებულია. პენალტებამდე ვივარაუდე, რომ მოვიგებდით და უზუსტოდ სწორედ ტრეზეგე დაარტყამდა. ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და რაც მთავარია, უნდა აღვნიშნოთ ლიპის ჩინებული მუშაობა. მისი სტილი და ნაკრები ძალიან ახლოს იყო 1982 წლის ენცო ბეარზოტის გუნდთან. ჩვენც კარგ ფეხბურთს ვთამაშობდით და მინდორზე ბოლომდე ვიხარჯებოდით. ამის ნათელი მაგალითი ჯენარო გატუზოა, იგი შეუჩერებელი იყო“.

„1970 წელს მსოფლიოს თასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ბრაზილიასთან წავაგეთ. სამაგიეროდ, ახლა მას ხელიდან ვერავინ გამომტაცებს. ეს ურთულესი ტურნირი იყო, რომელიც ღირსეულად გავიარეთ. ამგვარი მებრძოლი და ძლიერი ნაკრები ჩემი დიდი გამოცდილების პერიოდში არ მინახავს“ — აღნიშნა ლიპის ერთ-ერთმა დამხმარემ და 35 გოლით დღემდე „სკუადრა აძურას“ საუკეთესო ბომბარდირმა ლუიჯი რივამ.

## იტალიური ჰრესა

აპენინურმა ჟურნალ-გაზეთებმა კვლავ ხოტბა შეასხეს „სკუადრა აძურას“ და ამაში გასაკვირი არაფერია. იტალიის დედაქალაქ რომში და სხვა ქალაქებში საუცხოო ზეიმის ღამის შემდეგ, ხალხი სიამოვნებით კითხულობდა ამა თუ იმ გამოცემის პირველ გვერდზე მყვირალა სათაურებს.

„ჩვენ ჩემპიონები გავხდით, რადგან იტალიელები ვართ“ — იწერება იტალიის ყველაზე მსხვილტირაჟიანი გაზეთი „კორიერე დელა სერა“ — ამიერიდან მთელ მსოფლიოში, თეთრი, წითელი და მწვანე იტალიის პასპორტს პატივისცემით მიიღებენ. 25 წლის მერე, როდესაც ახალი თაობა გაიზრდება, რომლებმაც გუშინდელ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა, ამ თარიღს ჩვენთან ერთად სიამაყით გაიხსენებენ“.

„მსოფლიო ჩვენ გვეკუთვნის. ემოცია, დაძაბულობა და სიამოვნება“ — ამოიკითხავთ „ლა რეპუბლიკას“ ფურცლებზე.

„ილ მესაჯერო“: „თქვენ ბრწყინვალენი იყავით“.

„მსოფლიოს პიკზე. გიჟური თვე იტალიისთვის“ — იწერება „ლა სტამპა“, რომელსაც სხვა გაზეთების უმეტესობის მსგავსად პირველ გვერდზე თასით ხელში მოზეიმე იტალიელების სურათი ჰქონდა ფონად.

**გიორგი ძაძაგაძე**

ფეხბურთის რუკასთან

**იტალიურმა** „ლივორნომ“ „ბოლონიადან“ ემანუელე მანიტა იყიდა. იგი მარკო ამელიას სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება. ამელიას, რომელიც „სკუადრა აძურას“ მესამე მეკარე იყო მუნდიალზე, რამდენიმე გრანდი უტრიალებს.

**ესპანურმა** „დეპორტივომ“ ფრანგული „ლე ავრის“ მეკარეს სტივ მანდანდას დაადგა თვალი. 21 წლის ნიჭიერი გოლკიპერი ვეტერანი ხოსე მოლინას შემცვლელად მოიაზრება. პარალელურად ბოლო მომენტში გაჯანჯღლდა თითქმის მიღწეული შეთანხმება ლაკორუნიელებსა და „ლივერპულს“ შორის ანტონიო ბარაგანის ტრანსფერზე. მხარეები დეტალებში ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან.

**იტალიურმა** „ტორინომ“ სერია A-ში დაბრუნების შემდეგ უკვე დაიწყო მომავალი სეზონისთვის გაძლიერება. ტურინელებმა 29 წლის ნახევარმცველი დიეგო დე აშენტისი და 35 წლის მცველი ჯუზეპე პანკარო დაიმატეს.

**ესპანურმა** „სელტამ“ მადრიდის „ატლეტიკოსგან“ ხორხე ლარენა ბოლომდე გამოისყიდა. ნახევარმცველმა ვიგოელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. გასულ სეზონში ლარენამ „სელტას“ რიგებში 26 მატჩი ჩაატარა და 19 გოლი გაიტანა.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „მარსელის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი შესაძლოა, ლონდონის „არსენალში“ გადავიდეს. „მეთოფეებმა“ 23 წლის ფეხბურთელისადმი ინტერესი გამოიჩინეს. „ინგლისში სიამოვნებით ვითამაშებდი და ორმაგად სასიამოვნო იქნება, თუ ფრანგი მწვრთნელი მეყოლება, თანაც არსენ ვენგერის დონის“ — აღნიშნა რიბერიმ.

**ირანის** ნაკრების 23 წლის ნახევარმცველი ანდრანიკ თეიმურიანი, ალბათ, ინგლისურ „ბოლტონში“ გადავა. „რამდენიმე წინადადება მაქვს აზიური და ევროპული კლუბებისგან, მაგრამ „ბოლტონი“ საუკეთესო ვარიანტია. სემ ალარდაისმა მუნდიალზე ჩემი თამაში ნახა და კმაყოფილი დარჩა. ასე რომ, იმედია, ტ[illegible]ანსფერი შედგება“ — თქვა ფეხბურთელმა.

**განის** ნაკრების კაპიტანს და „ფენერბაჰჩეს“ ლიდერ სტეფან აპიას ლონდონის „არსენალში“ სურს თამაში. „შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის, მაგრამ 50 პროცენტი უკვე არის იმის შანსი, რომ „მეთოფეებში“ გადავიდე. ჩემით „რომა“, „იუვენტუსი“ და „მარსელიც“ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ იტალიაში დაბრუნება არ მინდა. „არსენალი“ ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია“ — თქვა 25 წლის ნახევარმცველმა.

ახლა მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ხალხი, იტალიელები — მარჩელო ლიპი და ჯანლუიჯი ბუფონი — ერთმა „სკუადრა აძურას“ ჭკვიანურად უთავკაცა, მეორემ თამაშიდან მხოლოდ ორი გოლი გაუშვა მუნდიალზე და აი, შედეგიც — იტალია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონია...

თასის ჩაბარების და გიჟური ზეიმის შემდეგ, ფინალში ფრანგთა დამმარცხებელმა ჩემპიონებმა მედიასთან საუბრისთვისაც მოიცალეს

# მარჩელო ლიპი: ეს ყველაზე ბედნიერი დღეა...



**— ბოლოს და ბოლოს ჯილდო თქვენ დაგრჩათ და იტალიაც მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებია. თავს როგორ გრძნობთ?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ყველა იმ ფანტასტიკურ ფეხბურთელს ვუთხრა მადლობა, რომელმაც სრული თავგანწირვით ითამაშა. ყველა იტალიელისთვის და მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც, ეს ყველაზე ბედნიერი წამია ცხოვრებაში. როგორც მწვრთნელი, ჩემი ფეხბურთელების თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს თქვენი სამწვრთნელო საქმიანობის მაქსიმუმია?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მუნდიალის მოგება ყველაზე დიდი მიღწევაა ჩემს კარიერაში. მქონდა ბედნიერება, რამდენიმე კლუბთან ერთად, იტალიის ჩემპიონატები მომეგო, თუმცა ასეთი სიხარული ადრე არასდროს განმიცდია.

**— და ვის უძღვნით ამ მსოფლიო თასს?**

— ჯერ ჩემს ოჯახს და მერე კი სრულიად იტალიას.

**— თამაშის მსვლელობისას მნიშვნელოვანი ფეხბურთელი, ფრანჩესკო ტოტი შეცვალეთ. თუმც ფორტუნამ ბოლოს მაინც იტალიას გაულიმა...**

— ტოტი იმიტომ შევცვალე, რომ ჩვეულებრივზე მეტად სუსტად გამოიყურებოდა. ეტყობა, გერმანიასთან ასოცწუთიანმა ნახევარფინალმა მაინც თავისი გაიტანა. ჩავთვალე, რომ ფრანგებთან მეორე ტაიმში მისი შეცვლა, აუცილებელი იყო.

**— გამარჯვებაში, რაღა თქმა უნდა, ზინედინ ზიდანის გაძევებაც დაგეხმარათ. ფრანგმა თავისი სიფიცხით იტალიის ნაკრების გაძლიერებას შეუწყო ხელი...**

— საფრანგეთი დიდი გუნდია, ძალიან მაღალი დონის. ზიდანის გაძევების შემდეგ მათი თამაშის ტემპი დაეცა, თუმც მაინც ძლიერად ითამაშეს. რა გაეწყობა, ფრანგებს შეუძლიათ, თავი ძველი გამარჯვებებით ინუგეშონ. 1998 წელს პენალტებით აქეთ დაგვამარცხეს, წლეულს კი ბედი ჩვენ მხარეს იყო. ასეთია ფეხბურთი...

# ჯანლუიჯი ბუფონი: ჩვენ სწორად გავთვალეთ, თასამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივედით



**— თქვენ ფინალის ნამდვილი გმირი ხართ, გუნდი რამდენჯერმე, ერთი შეხედვით, უნუგეშო სიტუაციაში იხსენით...**

— არ ვიცი, ალბათ, ღმერთიც დაგვეხმარა გამარჯვებაში. მეტოქე ხომ ძალიან ძლიერი იყო და ყველა შანსი ჰქონდა, თამაში პენალტებამდე თავის სასარგებლოდ დაესრულებინა. აქამდე ფრანგების წინააღმდეგ არ მეთამაშა და ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ჩემთვის ყველაზე უხერხულ მეტოქეებს წარმოადგენენ.

**— პენალტების სერიის წინ ძალიან ღელავდით?**

— არ ვღელავდი-მეთქი რომ გითხრათ, დამიჯერებთ? ვიცოდი, მთელი გუნდის ბედი ჩემზე იყო დამოკიდებული. ძნელია, მშვიდად იყო მაშინ, როცა მილიონობით თვალი გაფაციცებით გაკვირდება.

**— იტალიის ნაკრების ძველი მეკარის, ვალტერ ძენგას, რეკორდი, 517 მშრალი წუთი, ზიდანის გოლის გამო ვერ გაუმჯობესეთ....**

— გეფიცებით, იმ მატჩში რეკორდები საერთოდ არ გამხსენებია. კარს მარტო იმიტომ ვიცავდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავმხდარიყავით. თან ზდანმა თამაშის დაწყებიდან შვიდ წუთში გამიტანა. ამით რაღაცნაირად გავთავისუფლდი კიდეც.

**— ზიდანის და მატერაცის ინციდენტზე რას იტყვით?**

— ვიცოდი, რომ კრიერის დასრულებას მუნდიალზე გამარჯვებით აპირებდა. ალბათ, ამან დაღუპა. უბრალოდ, ზიდანმა ემოციურ მუხტს ვერ გაუძლო. თუმცა სხვის საქციელზე კომენტარის გაკეთება ჩემი საქმე არ არის. სჯობს, ამაზე ფრანგებმა ისაუბრონ. ისინი ხომ თავიანთმა ლიდერმა ყველაზე მეტად დააღალატა.

**— ფრანგებთან და, საერთოდ, მუნდიალზე იტალიის გამარჯვების საიდუმლო გვითხარით...**

— ფინალმა დაამტკიცა, რომ არა მარტო მაღალი დონის მოთამაშეები, არამედ ერთ მუშტად შეკრული გუნდი გვყავს. სხვა ნაკრებებზე ერთი უპირატესობა გვქონდა — მუნდიალზე დიდ მიზნებს და შორეულ გეგმებს არ გამოვკიდებივართ. ყოველი მატჩის წინ უშუალოდ იმ თამაშის მოგებაზე ვფიქრობდით და არა იმაზე, სამი-ოთხი შეხვედრის მერე ბრძოლა ვისთან მოგვიწევდა. ამის დამსახურებაა, დღეს ჩემპიონობას იტალია რომ ზეიმობს.

ფეხბურთის რუკასთან

**რუსული** „ზენიტი“ ვეტერანი იტალიელი ფორვარდის კრისტიანო ლუკარელის შეძენას აპირებს. „ლივორნომ“ ფეხბურთელს მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე მისცა, თუმცა 30 წლის თავდამსხმელი თვლის, რომ ეს ფორმალობაა და ყველაფერი უკვე მის ზურგსუკან გადაწყდა, რის გამოც მშობლიურ კლუბზე განაწყენებულია. ამბობენ, სანკტპეტერბურგელები 10 მილიონ ევროს გადაიხდიანო. კონტრაქტი სამწლიანი იქნება და ლუკარელი სეზონში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

**ესპანური** „ვილიარეალის“ ურუგვაელმა ფორვარდმა დიეგო ფორლანმა კლუბთან 2010 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი. „ჩემთვის პრიმერადივიზიონი და „ვილიარეალი“ ყოველთვის პირველი არჩევანი იყო. არსად წასვლას არ ვაპირებდი. ამაზე მხოლოდ მაშინ ვიფიქრებდი, თუ განსაკუთრებულ წინადადებას მივიღებდი, რაც არ მოხდა. „ბარსელონას“ და ინგლისური კლუბების ჩემდამი ინტერესზე მეც გაზეთებიდან გავიგე“ — თქვა 27 წლის თავდამსხმელმა. პარალელურად, ნიჰათ კაჰვეჩისა და რობერ პირესის მერე, „ყვითლებმა“ „ვალენსიადან“ 20 წლის პერსპექტიული მცველი ხოსე ენრიკე დაიმატეს, რომელთანაც ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

**ინგლისური** „პორტსმუთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა სოლ კემპბელს დაადგა თვალი და მისთვის მომზიბელელ კონტრაქტს ამზადებს. მოგეხსენებათ, 31 წლის მცველმა აღნიშნა, რომ „არსენალს“ ტოვებს და კარიერის გაგრძელება უფრო საზღვარგარეთ უნდა. მას იტალიური „ინტერი“ და თურქული „ფენერბაჰჩე“ უტრიალებენ.

**იტალიის** ნაკრებისა და ფლორენციის „ფიორენტინას“ ფორვარდ ლუკა ტონის მუნდიალის დასრულებისთანავე ახალი მსურველები გამოუჩნდნენ. საუბარია მადრიდის „რეალზე“ და მიუნხენის „ბაიერნზე“. დიდი ხანია, მას მილანის „ინტერიც“ უმიზნებს. „იები“ კი კვლავ ჯიუტად ირწმუნებიან, ტონი არ იყიდებაო.

**ესპანურ** „ბილბაოს“ სულ მცირე, ერთი სეზონი ფელიქს სარიუგარტე უთავკაცებს. 41 წლის ყოფილ ფეხბურთელს, რომლის სამწვრთნელო კარიერაც ახლა იწყება, ბასკთა ხელმძღვანელობამ სრული ნდობა გამოუცხადა.

**ფრანგულმა** პსჟ-მ შვეიცარიული „აარაუდან“ კამერუნელი ნახევარმცველი ალბერტ ბანინგი შეიძინა. 21 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პარიზელებს „ლიონის“ ფორვარდ პიერ-ალან ფროს დამატებაც სურთ.

# ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

AFP


AFP


AFP

AFP

AFP

# ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP

9 ივლისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ ვინ არ იპოვეს მუდამ აპარატმომარჯვებულმა ფოტომონადირეებმა. ამ ოქრო თასის მომპოვებელი ფაბიო კანავარო და მარჩელო ლიპი იტალიის პრეზიდენტ ჯორჯო ნაპოლიტანოსთან და სპორტის მინისტრ ჯოვანა მელანდრისთან ერთად ხარობენ. უხასიათოობა არ ეტყობა მსაჯობიდან გადამდგარ პიერლუიჯი კოლინასაც. სტადიონზევე არიან საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი (მარცხნივ მადამ ბერნადეტ შირაკს ვხედავთ), გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ კოლი და ქვეყნის ახლანდელი მეთაური ანგელა მერკელი ბილ კლინტონისა და კოფი ანანის გარემოცვაში. ოლიმპიზმის ყოფილი პატრიარქი ხუან ანტონიო სამარანჩი ფეხბურთის ყოფილ საქმეთგამრიგე ჟოაო აველანჟს ესაუბრება, ფორმულა 1-ის შეფ ბერნი ეკლსტოუნს კი თანამოსაუბრედ პირმშვენიერი ჯულია რობერტსი აურჩევია. კოლუმბიელი გოგონია შაკირა კი თავის საქმეს აკეთებს და ხალხს ართობს.



AFP

მაგრამ ფეხბურთმა ხომ საზღვარი და ქვეყანა არ იცის, ბომბების ხმაურშიც და ზვირთების ცემაშიც აჟღერებს თავის ჯადოსნურ ჰანგებს. ამ დღეებში ერაყში 70-მდე ფორმიანი თუ მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ქალაქ ბაქუბაში მამას შვილი ჩაუხუტებია და დროებით მაინც წყვეტს მას საშინელ რეალობას. ავღანეთში, ქაბულში ნატოს ფრანგული კორპუსის ჯარისკაცები პენალტების სერიას განიცდიან. ინდუსმა ქვიშის სკულპტორმა სუდარშან პატნაიკმა კი მსოფლიოს ჩემპიონებს ასეთი ძეგლი მიუძღვნა.



AFP

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 2 | ლოკომოტივი-დინამო | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 3 | მოსკოვი-ზენიტი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 18:00 | 4 | კრილია-ამკარი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 5 | რუბინი-ტორპედო | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| 19:00 | 6 | სპარტაკი-შინიკი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 19:00 | 7 | ნალჩიკი-ტომსკი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 12:00 | 8 | ენერგია-სატურნი | 2.20 | 2.70 | 3.60 | 1.21 | 1.36 | 1.54 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 20 | ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 22 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.50 | 3.90 | 6.00 | 1.08 | 1.20 | 2.36 |
| 20:00 | 23 | სანდეფიორდი-მოლდე | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 20:00 | 24 | სტაბეკი-ჰამარი | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 22:00 | 25 | ტრომსიო-ვოლერენგა | 2.65 | 3.30 | 2.45 | 1.46 | 1.27 | 1.40 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 26 | ბრანი-ვიკინგი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 35 | მალმიო-აიკ | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 36 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 20:00 | 37 | ჰალმსტადი-გიოტებორგი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 38 | ჰამარბი-იოსტერსი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 22:00 | 39 | ჰელსინგბორგი-ჰეკენი | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 49 | ლაჰტი-ტამპერე | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 50 | ვპს-იარო | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 60 | გამბა-ივატა | 1.60 | 3.30 | 4.50 | 1.07 | 1.18 | 1.90 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 67 | ატლეტიკო პრ-ფორტალესა | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |
| 23:45 | 68 | ფლუმინენსე-ჟუვენტუდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 69 | ინტერნასიონალი-პონტე პრეტა | 1.45 | 3.70 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.24 |
| 23:45 | 70 | სან პაულუ-გრემიო | 1.45 | 3.70 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.24 |
| 23:45 | 71 | კრუზეირო-კორინთიანსი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 23:45 | 72 | ფიგეირენსე-სანტოსი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 23:45 | 73 | სან კაეტანო-ბოტაფოგო | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 74 | ფლამენგო-პარანა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 75 | პალმეირასი-ვასკუ და გამა | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 76 | სანტა კრუსი-გოიასი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 87 | პიუნიკი-შერიფი ტირასპოლი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 88 | ტვმკ ტალინი-ჰაფნარფიორდური | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:30 | 90 | ელბასანი-ეკრანასი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 20:30 | 91 | ბირკირკარა-ბ 36 ტორშავნი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 21:00 | 92 | ლინფილდი-გორიცა | 3.35 | 3.20 | 1.95 | 1.63 | 1.23 | 1.21 |
| 21:00 | 93 | დუდელანჟე-რაბოტნიჩკი | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 94 | შახტიორი სოლიგ.-შიროკი ბრიეგი | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 21:00 | 95 | მეტალურგი ლ-აკტობე | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 20:00 | 96 | მიუპა-ტნს | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 22:30 | 97 | კორკი ს-აპოლონი ლ | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 133 | ბრინი-სტრიომგოდსეტი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 20:00 | 134 | სანდეფიორდი-სკეიდი | 1.20 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.59 |
| 20:00 | 135 | სტაბეკი-სოგნდალი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.ბაშტადი.თიხნარი** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 12:30 | 201 | ალმაგრო-ბერდიხი | | | 1.65 | | | 1.90 |
| 12:30 | 202 | დლოუგი-ვინსიგუერა | | | 1.45 | | | 2.35 |
| 12:30 | 203 | კორია-აკასუსო | | | 1.90 | | | 1.65 |
| 12:30 | 205 | მასუ-ზაბალეტა | | | 1.17 | | | 3.85 |
| 12:30 | 206 | ი ნიემინენი-ჩელა | | | 1.35 | | | 2.60 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.გშტაადი.თიხნარი** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 218 | მატი-ვემიჩი | | | 1.15 | | | 4.00 |
| 13:00 | 219 | სეპი-ჩილიჩი | | | 1.35 | | | 2.70 |
| 13:00 | 220 | ვავრინკა-პაველი | | | 1.30 | | | 2.85 |
| 13:00 | 221 | მირნი-ბერლოკი | | | 1.25 | | | 3.00 |
| 13:00 | 222 | მოია-ნოვაკი | | | 1.15 | | | 4.00 |
| 13:00 | 223 | კოლშრაიბერი-დი მაურო | | | 1.40 | | | 2.40 |
| 13:00 | 224 | გასკე-გრიული | | | 1.15 | | | 3.80 |
| 13:00 | 225 | კ როხუსი-ვისენტე | | | 1.55 | | | 2.10 |
| 13:00 | 226 | გაუდიო-დანიელი | | | 1.20 | | | 3.80 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.ნიუპორტი.ბალახი** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 227 | კარლოვიჩი-ბასტლი | | | 1.20 | | | 3.80 |
| 19:00 | 229 | ე მიურეი-რ მელო | | | 1.10 | | | 4.30 |
| | | **ჩოგბურთი.კაცები.პოზნანი.თიხნარი** | | | | | | |
| | | **11 ივლისი** | | | | | | |
| 12:00 | 231 | ვასაიო არგუეიო-კიპოლა | | | 1.45 | | | 2.25 |
| 12:00 | 232 | გალვანი-მერტლი | | | 1.30 | | | 2.80 |
| 12:00 | 233 | გილი-დორში | | | 1.60 | | | 2.00 |
| 12:00 | 235 | დელ პოტრო-დევილდერი | | | 1.55 | | | 2.10 |
| 12:00 | 237 | ზიბი-ურბანი | | | 1.20 | | | 3.50 |
| 12:00 | 239 | ეშოერი-პრეისეზნი | | | 1.25 | | | 3.10 |

**გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12**

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გდანსკიდან ევროპა გამოჩნდა

## საზაფხულო სესიამ ზამთრის იმედი გააჩინა

**დიდ** წარმატებას მიაღწია საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა კვირას პოლონეთში დასრულებულ სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. 13-გუნდა ტურნირში მოპოვებული ვერცხლის მედლები მართლაც უნიკალური ამბავია ჩვენი ხელბურთის ბოლოდროინდელ ისტორიაში.

გდანსკში გამგზავრებამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ მეტრეველი მეოთხე-მეხუთე ადგილისთვის ბრძოლას გეგმავდა.

სასიხარულოა, რომ ბიჭებმა შეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. არადა, ჯგუფური, შესარჩევი ტურნირის ფრითა და წაგებით დაწყების შემდეგ ჩვენების საპრიზო იმედი, ვფიქრობთ, ყველას გადაეწურა. მაგრამ გუნდის ყველა წევრის, გამორჩეულად კი ლეგიონერთა ოსტატობამ ზედიზედ სამი გამარჯვება და საფინალო საგზური მოგვიტანა.

საჩემპიონო, გადამწყვეტი მატჩი ჩვენებს წინა სტუდენტური ფორუმის გამარჯვებულ რუსეთთან ჰქონდათ. სლავი მეზობლები ახლაც ფავორიტებად ითვლებოდნენ და ქართველ ხელბურთელთაგან მათთან ტოლ-სწორად შებრძოლებას არავინ ვარაუდობდა.

და მართალია, რუსებმა ჩემპიონობა მოიპოვეს, მაგრამ სავარაუდო უპირატესობას ვერ მიაღწიეს. მთელი თამაში, განსაკუთრებით მეორე ტაიმი, თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა და გამარჯვებულიც მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე გარკვა — 31:30.

ქართველ ხელბურთელთა საღეღისო მეორე ადგილი, რა თქმა უნდა ძალიანაც სასიხარულოა, თუმც უფრო მეტად სამომავლოდ. იმედის მომცემი. ეს სტუდენტური გუნდი ხომ ფაქტობრივად ჩვენი ეროვნული ნაკრებია (ტიტე კალანდაძის და ლევან გელაშვილის გამოკლებით), რომელსაც იანვარში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოუწევს საპლეიოფო საგზურისთვის ჭიდილი და საამისოდ, გდანსკური ნაბიჯი აშკარად საიმედო ცდაა.

ექვსთამაშიან პოლონურ ტურნირში ქართველთაგან ყველაზე შედეგიანი იყო 45 გოლის გამტანი სერგო დათუკაშვილი, რომელიც მეორე წელია, შვედეთის „ისტადში" თამაშობს. „უკრაინელმა" ვლადიმერ რუსიამ და „მაკედონიელმა" რევაზ ჭანტურიამ 34-34 ზუსტი ტყორცნა მიითვალეს. გუნდში იყვნენ აგრეთვე საბერძნეთში მოთამაშე გიორგი ქობელაშვილი (20), „თურქი" მამია კობახიძე (7), საქართველოს ჩემპიონ „სტუ-შევარდენიდან" გიორგი წივწივაძე (23), აკაკი ტალახაძე (2), დავით ნადირაძე (2), ზაზა ფერაძე (1), ქარიშხლელი რატი მსხვილიძე (10) და მეკარეები, შოთა თევზაძე და გაგა სამყურაშვილი.

მეტი სასიხარულო რაღა უნდა იყოს, რომ რუსია და თევზაძე, რომლის პოლონეთში წასვლაც ბოლო მომენტში გადაწყდა, ორგანიზატორებმა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

მეტრეველთან ერთად გუნდი მოამზადეს ირაკლი კეკელიძემ, ჯემალ ბარამიძემ და ზურაბ კეკელიძემ.

ბოლოს ცოტა ისტორიაზეც. საუნივერსიტეტო სპორტის მსოფლიოს ჩემპიონატები 1963 წლიდან ტარდება და ძალიანაც სასიხარულოა, რომ იმ შორეულ, გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველებს ჩემპიონები გვყავდა, ოღონდ, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის გუნდის შემადგენლობაში.

1968 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 15 გუნდს შორის, სსრკ ნაკრებმა ფინალურ მატჩში რუმინეთს სძლია — 17:16 და პირველად მოიპოვა სტუდენტ ხელბურთელებში მსოფლიოს ჩემპიონობა. იმ ინტერნაციონალურ გუნდში ორი ქართველიც იყო — მარჯვენა ფრთა იმედო ფხაკაძე და მეკარე, აწ განსვენებული ალექსანდრე ხუციშვილი.

**გია ახალაძე**



# შემონდი სამშობლოს უბრუნდება




**გაზეთ** „ლოს ანჯელეს ტაიმსის" ცნობით, კლუბი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და ნბა-ს ყოფილი მოთამაშე შემონდ უილიამსი მზად არიან, ორწლიანი თანამშრომლობის კონტრაქტს მოაწერონ ხელი. 31 წლის ქართულპასპორტიანი ამერიკელი 2004 წლიდან ევროპაში თამაშობს, ერთი წელი სამარას „ავტოდორს" ლიდერობდა და ერთიც ევროგრანდ „ბარსელონას", ამასთან ის საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებში ეხმარებოდა.

შემონდ უილიამსს 1998-2004 წლებში, ექვს სეზონში ნბა-ს 6 გუნდში აქვს ნათამაშები და საკმაოდ კარგ სათადარიგოდაც ითვლებოდა. 1999-2000 წლების სეზონი ნბა-ში მოხვედრილ პირველ ქართველთან, ვლადიმერ სტეფანიასთან ერთად გაატარა „სიეტლ სუპერსონიქსში". საქართველოს ნაკრებშიც სწორედ ვოვას რეკომენდაციით და ხელშეწყობით მოხვდა. ნბა-ში მან 6 სეზონში 300-მდე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ევროპას 6,1-ქულიანი და 2,5-პასიანი საშუალო მაჩვენებლით მოაშურა. ბებერ კონტინგენტზე მისი შედეგიანობა, რაღა თქმა უნდა, შეუდარებლად მაღალი იყო.

ახლა ჩანს, 185-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი სამშობლოში ბრუნდება, ან კი რატომ უნდა თქვას უარი კობი ბრაიანტის გვერდით და ფილ ჯეკსონის ხელმძღვანელობით თამაშზე ნბა-ს 14-გზის ჩემპიონ „ლეიკერსში". მით უმეტეს, რომ ეს გუნდი 2 წელიწადში 3,5 მილიონს სთავაზობს. ასეთი ფული კი ევროპაში გზებზე არ ყრია.

**კოტე ყორშია**

# ამერიკა ჩინეთს ეპარება

**საერთაშორისო** სარბიელზე, მაგალითად თუნდაც 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე, ან მანამდე 2002 წლის ინდიანაპოლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე სირცხვილნაჭამმა ამერიკელებმა სერიოზული ნაკრების ჩამოყალიბება რომ განიზრახეს, ეს დიდი ხნის წინ გამცნეთ.

„სერიოზული გუნდი" ამიერიდან ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირს სრული სერიოზულობით მიუდგება, წლეულს აგვისტოში კი იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატია და სამზადისი გეგმაც ყალიბდება. აშშ-ს ნაკრების ხელმძღვანელებმა მოსამზადებელ თამაშებს ორიც დაამატეს — ნბა-ს ვარსკვლავები პირველად ითამაშებენ ჩინეთში მათი ნაკრების წინააღმდეგ. ეს, ასე ვთქვათ, ამხანაგურ-სპარინგ შეხვედრა 7 აგვისტოს სამხრეთ ჩინეთის გიგანტ ქალაქ ჰონკონგის მახლობელ გუანჯოუში გაიმართება და ამერიკელები ჩინელებზე არანაკლებ იმედოვნებენ, რომ აზიის საუკეთესო გუნდს ეყოლება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კალათბურთელი, 226-სანტიმეტრიანი იაო მინი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ტერფის ოპერაცია გაიკეთა და ჯერ მყარად ვერ დგას ფეხზე.

იმავ გუანჯოუში ჩინელებთან შეთამაშებიდან ერთ დღეში ამერიკელები ბრაზილიელებსაც შეხვედებიან. ბრაზილიის პოტენციურ ლიდერად ნბა-ში თავნასახელები სამი მოთამაშე ითვლება — ფინიქსელი ლეანდრო ბარბოსა, დენვერელი ნენე და კლივლენდელი ანდერსონ ვარეშაო.

ჩინეთში თამაშის შემდეგ ამერიკელები იქვე კორეაში აპირებენ გადაფრენას და 13-15 აგვისტოს მძლავრ ლიტველებს და შედარებით სუსტ სამხრეთკორეელებს შეხვდებიან. ამერიკელთათვის მოსამზადებელი ეტაპი კი 3 აგვისტოს ლას ვეგასში პუერტო რიკოს ყოჩაღ და ყოველთვის საბრძოლველად შემართულ გუნდთან იწყება. ნბა-ს ვარსკვლავები იაპონიაში მსოფლიო პირველობის პირველ შეხვედრასაც სწორედ პუერტო რიკოსთან გამართავენ, 19 აგვისტოს საპოროში.

„ჩემი აზრით, ჩვენ ამით მხოლოდ მოვიგებთ, მოსამზადებელ თამაშებს ჩინეთში გასამართი ორი შეხვედრაც რომ წავუმატეთ — ამბობს აშშ-ს ნაკრების თავკაცი მაიკ კრუჟევსკი — ჩინეთში და სამხრეთ კორეაში ჩვენ აკლიმატიზაციას გავივლით. ეს შეხვედრები დაგვეხმარება არა მხოლოდ იაპონიაში, არამედ ორი წლის შემდეგ პეკინის ოლიმპიადაზეც".

**კოტე ყორშია**



# შვიდისთვის ოთხი ზედმეტია

**ამ უძმეებზე** მოსკოვში ევროპული შვიდკაცას ფინალური ეტაპია. რუსეთის მთავარქალაქში ევროპის ეტაპებზე ნაყოჩაღარი და მაღალრეიტინგული 12 გუნდი ჩავა. მათ შორისაა საქართველოც, რომელმაც ფრანგულ ლიუნელის ეტაპზე მეოთხე ადგილი დაიკავა, თბილისის შვიდკაცა კი წლეულს პირველად ვერ მოიგო, მაგრამ ფინალში გასვლით სამოსკოვო ქუდები მაინც ჩაიწერა.

სამოსკოვოდ ჩვენები ორი კვირაა, თბილისში გაფართოებული, 28-კაციანი შემადგენლობით ემზადებოდნენ. შვიდკაცას ნაკრების ახალმა მწვრთნელებმა მამუკა ტყეშელაშვილმა და კახა ალანიამ რაზმი გაცხრილეს და გუშინღა გააცხადეს ის თოთხმეტი ჩაუქი მორაგბე, მოსკოვში რომ იშვიდკაცებენ. დავაზუსტოთ, 14-კაციანი რაზმი ხუთდღიან შეკრებას თბილისში, „შევარდენის" სტადიონზე გავლის და მოსკოვში მხოლოდ ათი მორაგბე გაემგზავრება. ასე რომ, საბოლოო შემადგენლობა ჯერაც უცნობია.

სამოსკოვო განაცხადშია ეროვნული ნაკრების კოლორიტი, აღიარებული მოშვიდკაცე ირაკლი აბუსერიძე, რომელიც, თქმა არ უნდა, დიდი ძალაა ჩვენებისთვის. ასევე გუნდში არიან „ლელოების" ახალი სახეები: გიორგი შკინინი და რევაზ გიგაური. თოთხმეტკაცა სრული რაზმი კი ასეთია: ირაკლი გუნდიშვილი, რევაზ გიგაური, ვახტანგ ახვლედიანი, ზვიად კობერიძე, ნიკა მხეიძე, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი კაჭარავა, დავით კაჭარავა, ირაკლი გეგენავა, სანდრო ნიჟარაძე, ლექსო გუგავა, ლევან ხუხუნეიშვილი, გიორგი ასათიანი, გიორგი შკინინი.

რაც შეეხება ტურნირის ფორმატს, 12 ნაკრები ორ ექვსგუნდა ჯგუფში გადანაწილდა. თასისთვის ბრძოლას მხოლოდ ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო გააგრძელებს. დანარჩენები კი 5-12 ადგილებს გაითამაშებენ. კენჭისყრით საქართველოს გაუმართლა, რაკი ფავორიტთაგან მხოლოდ საფრანგეთი ჰყავს ჯგუფში მეტოქედ. ტურნირის მასპინძელი რუსეთი და მოსკოვის შვიდკაცას ბოლო ხუთი წლის გამარჯვებული პორტუგალია ერთად მოხვდნენ. ტურნირის ჯგუფები და განრიგი ასეთია: **A** ჯგუფი: რუსეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ხორვატია, რუმინეთი, ანდორა; **B** ჯგუფი: საქართველო, საფრანგეთი, იტალია, ლიტვა, მოლდოვა, უკრაინა.

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველოს ნაკრების განრიგი**

15 ივლისი
**საქართველო — საფრანგეთი**
**საქართველო — იტალია**
**საქართველო — უკრაინა**
**საქართველო — მოლდოვა**

16 ივლისი
**საქართველო — ლიტვა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცური ნახტომი

## ლაბაძე +19, ჩიხლაძე +113



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ირაკლი ლაბაძე

**დასრულდა** უიმბლდონი და გამოქვეყნდა **ATP**-სა და **WTA**-ს ახალი რეიტინგები. კლასიფიკაციის მოწინავეთა შორის ქართველები არ არიან და ალბათ, კარგა ხანს არც იქნებიან, მაგრამ რეიტინგებში ბარე ერთი დუჟინი ჩვენებურის გვარი ფიგურირებს და ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელოვანი პროგრესიც განიცადა და კლასიფიკაციის კიბეზე გვარიანად მაღლა აინაცვლა.

ეს, პირველ რიგში, კაცებზე ითქმის. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ უიმბლდონის ბალახზე წარმატებული თამაშის წყალობით, ერთბაშად 19 საფეხურით წინ წაიწია და ახლა 284 ქულით 147-ე ადგილზეა. ირაკლი კიდევ უფრო მაღლაა **ATP**-ის საჩემპიონო რბოლაში. არადა, ლაბაძე ამ კლასიფიკაციაში აქამდე საერთოდ არ იყო, ახლა კი ერთბაშად 33 ქულა გააკეთა და ამ მონაგარით 94-ე ადგილს იყოფს ამერიკელ რობი ჯინეპრისთან ერთად.

ჩვენი მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძე კი, სულაც 113 საფეხურით მაღლა ავიდა. უიმბლდონის პირველი კვირის პარალელურად, ლადომ **ITF**-ის ეგიდით გამართული ტურნირი მოიგო და ამ გამარჯვების წყალობით კლასიფიკაციაში 597-ე ადგილიდან 484-ზე აინაცვლა. ჩიხლაძეს ამჟამად 52 სარეიტინგო ქულა აქვს და, თუ ამ კვირაში, ავსტრიული კრამშახის გრუნტზე, ასევე **ITF**-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირზეც წარმატებით ითამაშებს, კიდევ უფრო წინ წავა.

რაც შეეხება ქალებს, საქართველოს პირველი ჩოგანი კვლავაც მაკა ჩახნაშვილია, რომელმაც გასულ კვირაში საკმაოდ წარმატებულად ითამაშა ფრანგული მაუნ დე მარსანის გრუნტზე ჩატარებულ ტურნირზე. ერთეულთა შორის მაკამ ნახევარფინალს უწია და იქ 5:7 2:6 წააგო მომავალ გამარჯვებულთან, რუს ნინა ბრატჩიკოვასთან, ხოლო წყვილებში რუმინელ ოლარუსთან ერთად, სულაც ტიტული მოიპოვა.

**WTA**-ს რეიტინგში ჩახნაშვილმა 5 ადგილით წინ წაიწია და 107,5 ქულით 238-ე პოზიციაზე იმყოფება. აი, სოფო მელიქიშვილმა კი გასულ კვირაში წარუმატებლად ითამაშა ამერიკული კოლეჯ-პარკის ჰარდზე და კლასიფიკაციაშიც 11 საფეხურით უკან დაიხია — 81,5 სარეიტინგო ქულით 273-ე ადგილზეა. პირველ სამასეულში კიდევ ერთი ქართველია — ნორჩმა ანა ტატიშვილმა 71,5 ქულით ათი ადგილით წინ გადაინაცვლა და 298-ე საფეხურზე მოიკალათა.

ერთბაშად 50 პოზიციით დაქვეითდა სალომე დევიძე, რომელიც 23,75 ქულით 541-ე ადგილზე იმყოფება. მანანა შაფაქიძე 15,5 ქულით 673-ე საფეხურზეა; ია ჯიქიას (8,5 ქულა) 861-ე ადგილი უკავია, სოფო შაფათავას (5,25) — 1034-ე, თეონა ცერცვაძეს (4,5) — 1098-ე, ნანა უროტაძეს (4,0) — 1156-ე, ხოლო სოფო ქვაცაბაიას (3,0) — 1236-ე.



ლადო ჩიხლაძე

# კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7260 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5125 |
| 3. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 3185 |
| 4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 3125 |
| 5. ნიკალაი დავიდენკო (რუსეთი) | 2165 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2155 |
| 7. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1985 |
| 8. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1925 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1915 |
| 10. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1857 |
| 11. ენდი როდიკი (აშშ) | 1805 |
| 12. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1700 |
| 13. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1635 |
| 14. გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1625 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1615 |
| 16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1580 |
| 17. რობი ჯინეპრი (აშშ) | 1480 |
| 18. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1475 |
| 19. ნიკლას კიფერი (გერმანია) | 1440 |
| 20. ანდრე აგასი (აშშ) | 1405 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1017 |
| 2. რაფაელ რადალი (ესპანეთი) | 735 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 367 |
| 4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 355 |
| 5. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 318 |
| 6. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 309 |
| 7. ნიკალაი დავიდენკო (რუსეთი) | 276 |
| 8. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 268 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 261 |
| 10. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 258 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 226 |
| 12. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 216 |
| 13. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 199 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 192 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 167 |
| 16. ენდი როდიკი (აშშ) | 166 |
| 17. ოლივიე როხუსი (ბელგია) | 156 |
| 18. ნიკლას კიფერი (გერმანია) | 153 |
| 19. ფერნანდო გონსალესი (ჩილი) | 150 |
| 20. გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 149 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 4498885 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 3117910 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1180240 |
| 4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 989090 |
| 5. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 982495 |
| 6. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 918680 |
| 7. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 835425 |
| 8..რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 820460 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 797270 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 697815 |
| 11.ნიკალაი დავიდენკო (რუსეთი) | 691870 |
| 12. მაქსიმ მირნი (ბელარუსი) | 691575 |
| 13. ბობ ბრიანი (აშშ) | 582770 |
| 14. მაიკ ბრიანი (აშშ) | 582770 |
| 15. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 571290 |
| 16. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 565435 |
| 17. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 551885 |
| 18. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) | 538015 |
| 19. ტომი ჰაასი (გერმანია) | 519205 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 471695 |

# ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3692 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 3377 |
| 3. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3093 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2400 |
| 5. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2134 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2040 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1995 |
| 8. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1749 |
| 9. მარი პირსი (საფრანგეთი) | 1636 |
| 10. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 1588 |
| 11. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 1575 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1435 |
| 13. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1396 |
| 14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1336 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 1303 |
| 16. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 1291 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1086 |
| 18. ფლავია პენეტა (იტალია) | 991 |
| 19. აი სუგიამა (იაპონია) | 874,5 |
| 20. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 825 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 2786 |
| 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2372 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1834 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1639 |
| 5. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 1483 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 1454 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1396 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1211 |
| 9.დინარა საფინა (რუსეთი) | 1004 |
| 10. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 928 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 902 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 841 |
| 13. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 795 |
| 14. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 712 |
| 15. ნა ლი (ჩინეთი) | 655 |
| 16. ფლავია პენეტა (იტალია) | 626 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 601 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 553 |
| 19. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 521 |
| 20. ანაბელ მედინა გარიგუესი (ესპანეთი) | 471 |

### ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 2555464 |
| 2. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2451140 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1489447 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1271963 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 920902 |
| 6. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 875858 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 818765 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 742604 |
| 9. ჟი ჟენგი (ჩინეთი) | 644909 |
| 10. სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 612596 |
| 11. ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 553710 |
| 12. ლიზა რაიმონდი (აშშ) | 527674 |
| 13. დინარა საფინა (რუსეთი) | 501999 |
| 14. ძი იანი (ჩინეთი) | 495656 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 484879 |
| 16. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 474713 |
| 17. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 457157 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 451873 |
| 19. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 432326 |
| 20. აი სუგიამა (იაპონია) | 428409 |

# ჩემპიონი თეთრი პიჯაკით

AFP ლონდონიდან

## ფედერერისთვის ნადალი თამაშის სრულყოფის გარანტია

**როჯერ ფედერერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის დიადი ჩოგბურთელია — უიმბლდონის ზედიზედ მეოთხედ მოგებით შვეიცარიელი ლეგენდარულების ბიორნ ბორგისა და პიტ სამპრასის მეტად საპატიო კომპანიაში აღმოჩნდა. ფედერერისთვის ეს გამარჯვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმიტომ იყო, რომ ნავსი გატეხა და რაფაელ ნადალთან ზედიზედ ხუთი წაგებული ფინალის შემდეგ, როგორც იქნა, მოუგო. თუმც კი ამისთვის დიდი ბრძოლის გადატანა და თამაშის დროს ტაქტიკის ვარირება მოუწია. ამ ინტერვიუში ფედერერი სწორედ გასრულებული ფინალის სირთულეზე და მის მნიშვნელობაზე საუბრობს. თუმც ტრადიციულად, ინტერვიუ მხოლოდ საჩოგბურთო თემით არ შემოიფარგლება და რვაგზის სლემტიტულოსანი შვეიცარიელი სხვა საკითხებზეც დიდი ხალისით საუბრობს**

**— თქვენ თვითონ, როგორც მონაწილე, როგორ დაახასიათებდით მატჩის მიმდინარეობას?**

— დასაწყისი იდეალური იყო, უკეთესად ვერც ვითამაშებდი. პირველ სეტში ყველაფერი გამომდიოდა და თითქმის არც ერთი ბურთი არ ამიცდენია. მეორეშიც თავიდანვე მინდოდა უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ნადალმა აქეთ გამიკეთა ბრეიკი. საბედნიეროდ, შევძელი ტაიბრეიკამდე მისვლა და იქ ცოტა გამიმართლა. მესამე სეტში სულ უფრო ძნელი გახდა ერთმანეთის მოწოდებებზე თამაში და აქ ტაიბრეიკზე რაფა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. მეოთხე პარტიაში კი მალევე შევძელი მეტოქის მოწოდების აღება და უპირატესობაც შევინარჩუნე.

**— ბექჰენდს ხშირად კორტის შუაგულში ურტყავდით, რაც თქვენ არ გახასიათებთ. ამით შეცდომების შემცირება გინდოდათ, თავს იზღვევდით?**

— რაფა მართლა კარგად აწვდის და ამიტომ ჩემი მთავარი მიზანი იყო, ბურთი მის ნახევარზე გადამეგდო, თან რაც შეიძლება ღრმად, რომ მაშინვე შეტევაზე არ გადმოსულიყო. ამ დროს იმაზე ფიქრის დრო აღარ გრჩება, კუთხეში გაუშვებ ბურთს თუ არა.

**— უკვე მეხუთეზე ფიქრობთ? (იგულისხმება ფედერერისთვის მეხუთე უიმბლდონის მოგება).**

— არა. ჯერ იქამდე ძალიან აღრეა. დღეს უძნელესი თამაში იყო და ამ მოგებით ტკბობა მაცალეთ. ახლა იმაზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებ, ერთ წელიწადში პირველ წრეში ვის უნდა ვეთამაშო.

**— დიდი ზეწოლის ქვეშ იყავით. ყველა იმას უსვამდა ხაზს, რომ რაფამ სხვა საფარებზე დაგამარცხათ, აქ კი თქვენს ალაგას, სახლში იყავით, რაც მოგებას გავალდებულებდათ. ძნელი იყო ამ ზეწოლის გაძლება?**

— ჩემზე უკეთ არავინ უწყოდა ამ მატჩის მნიშვნელობა. წაგება ჩემთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. რაფას ზედიზედ რომ მოეგო "როლან გაროსი" და უიმბლდონი, თან ორჯერვე ჩემთვის ფინალში — ამის წარმოდგენაც კი არ მინდოდა. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის დამარცხებას, რადგანაც აქამდე ბევრ ფინალში წავაგე მასთან. თან ვიცოდი, რომ ამაზე კარგი შანსი არ მექნებოდა, მაგრამ მან წლეულს უდიდესი პროგრესი განიცადა ბალახზე. თუმც რაფაც ჩემნაირ მდგომარეობაში იყო საფრანგეთში. მაშინ მასზე იყო ზეწოლა და მე ვცდილობდი მისი დაუმარცხებელი სერიის შეწყვეტას. ასე რომ, მშვენიერი მაგალითი მქონდა — მან ხომ გაუძლო იმ ზეწოლას და ეს უნდა გამეძლო.

**— გულდასაყვეტი იყო, ფინალში ერთი სეტი მაინც რომ წააგეთ?**

—არა, რას ამბობთ. სანამ სამ სეტს არ წავაგებ, გულდასაწყვეტი არაფერი იქნება.

**— ადრე განაცხადეთ, რომ არ გჯეროდათ საკუთარი წარმატების. რატომ?**

— პარიზში ახალი წაგებული მქონდა ფინალი და ფსიქოლოგიურად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვიყავი. ჰალეშიც ბევრი ვიწვალე. მერე სათამაშო ბადეს გადავხედე და ჩემს იმედებს ლამის წერტილი დავუსვი. თან ყველა ბიორნ ბორგის რეკორდის გამეორებაზე ლაპარაკობდა და ჩემგან მის გაუმჯობესებას მოელოდა. ეს კი ჯანსაღ ატმოსფეროს არ ქმნის. ამიტომ ნამდვილად არ მეგონა, რომ ამ თასს კიდევ ერთხელ დავიკავებდი ხელში. პირველად ამაზე სერიოზულად, ალბათ, მაშინ დავფიქრდი, როცა ანჩიჩს მოვუგე მეოთხედფინალში.

**— ნადალის თამაშში რაიმემ გაგაოცათ? ანუ გააკეთა მან რაიმე ისეთი, რამაც თქვენ გაიძულათ, თამაში შეგეცვალათ და მოგემატებინათ, თუ იოლი მატჩი იყო?**

— რა იოლი, რას ამბობთ. ამაზე ძნელი მატჩი რაღა უნდა იყოს. გაოცებით კი რაფამ ბოლოსკენ გამაოცა — რაც დრო გადიოდა, დაღლის მაგივრად უფრო და უფრო მაგრად ურტყამდა ბურთს. თან მოწოდება აშკარად გააუმჯობესა. ამასთანავე ბოლოს მოეშვა, უფრო თავისუფალი გახდა და ნებისმიერი პოზიციიდან შეტევას ცდილობდა, შეცდომების დაშვების თითქოს აღარ ეშინოდა. ამ დროს კი ის ძალიან საშიშია. ამიტომაც ძალიან კმაყოფილ ვარ საკუთარი თავის, რადგანაც მას მაქსიმალურად შევუზღუდე უკანა ხაზიდან თამაშის საშუალება. თან კარგად ვაწოდებდი და ეს ძალიან გამომადგა. სწორედ ამის გაკეთებას ვგეგმავდი მატჩის წინ.

**— მეტოქეს განსაკუთრებით დიდი პრობლემები ბექჰენდიდან ჩახვეული დარტყმებით შეუქმნით. ყველაზე მნიშვნელოვანი ქულები ამით მოიპოვეთ...**

— კი, ეს ჩემი არსენალის სერიოზული იარაღია. ბუგრამ ლეგი სწრაფ კორტებზე უფრო მოქმედებს, თიხარზე კი არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ამ ჩახვეულით უბრალოდ იგერიებ ბურთს თუ ამწვავებ თამაშს, მაინც ერთნაირად სხლტება კორტიდან. აი, ჰარდზე და ბალახზე აქედან შეტევაზე გადასვლა უფრო ხერხდება და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ სწრაფ კორტებზე უკეთესი შედეგები მაქვს.

**— ნადალმა უფრო დიდი წინააღმდეგობა გაგიწიათ აქ, თუ თქვენ მას — პარიზში?**

— ალბათ, ტოლფასად. ვგულისხმობ იმას, რომ მას აქ ჰქონდა შანსები და არც მე ვიყავი მთლად უიმედოდ პარიზში, მაგრამ ეს შანსები ვერც ერთმა ვერ გამოვიყენეთ. აქ მთავარი ისაა, რომ რაფა თიხნარზე გაცილებით კარგად გრძნობს თავს, მე კი — ბალახზე. ვფიქრობ, დღესაც ეს იყო გადამწყვეტი.

**— მართლაც უდიდეს წარმატებას მიაღწიეთ. უახლოეს დღეებში რას აპირებთ?**

— დასვენებას. ვგეგმავ კიდეც. ეს ტურნირის წინ გადავწყვიტე. მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირველ წრეში წავაგებდი თუ ტურნირს მოვიგებდი, მაინც ვაპირებდი კარგად დასვენებას და ახლა მოუთმენლად ველი არდადეგებს. დღესაც ჩემი ოჯახი და მეგობრები კორტზე იყვნენ და მათთან ერთად აღვნიშნავ ამ წარმატებას, "საჩემპიონო სადილს" მოვაწყობთ.

**— თქვენთვის, როგორც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელისთვის, რამდენად სასარგებლოა ნადალისდარი ახლაგაზრდის გამოჩენა და მასთან დაპირისპირება?**

— მოდით, დაპირისპირებაზე ნუ ვილაპარაკებთ. არ ღირს ჩვენი ურთიერთობების ამ სიბრტყეში გადატანა. თუმც იმდენ ფინალში ვხვდებით ერთმანეთს, რომ გასაგებია, ყველას უნდა დაპირისპირების დანახვა და დამატებითი ინტრიგის შექმნა. ისე კი, მგონია, რომ ნადალისნაირი ჩოგბურთელის არსებობა ზოგადად სპორტის ამ სახეობისთვის კარგია, რადგანაც მაყურებელი იღებს იმას, რასაც მოელის — კერძოდ კი დაბალ და საინტერესო თამაშებს. გასაგებია, რომ არავის უნდა, ერთი კაცის იოლ გამარჯვებებს უყუროს. ჩემთვის რამდენად კარგია ეს, სულ სხვა საკითხია, მაგრამ უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. რაფა ჩემთვის ახალი გამოწვევაა, რომელიც მაიძულებს, მუდმივ ტონუსში ყოფნას და საკუთარი თამაშის სრულყოფასაც, რათა მასთან ღირსეულად პაექრობა კვლავ და კვლავ შემეძლოს

**— წლეულს ახალი მოდა დაამკვიდრეთ და უიმბლდონზე თეთრი პიჯაკით დადიხართ. დღესაც ჩაიცვამთ? მომავალ წელს რა სიახლეს ვიხილავთ?**

— ამაზე უკვე ნაიკმა იზრუნოს. დღეს კი ამ პიჯაკის ტარება მინდა-არ მინდა, მაინც მომიწევს, ეს სავალდებულოა.

**— ეს პიჯაკი უიმბლდონის მუზეუმს გადაეცემა?**

— მართლაც, ეჭვი მაქვს, ამ პიჯაკის მომავალი მუზეუმს მჭიდროდ დაუკავშირდება.

**ქაჯა ლომაჯვილი**



AFP ლონდონიდან

# საზაფხულო პლუს-მინუსი

## კოკაიმ ფუტენოს ჯავრი დეიმაზე იყარა



**აიტის** პრეფექტურის სპორტის სასახლეში პროფესიონალ სუმოისტთა სეზონის მეოთხე ბაშო გახურდა. მსოფლიოს უძლიერესი დეკაკები დივიზიონებში გადანაწილდნენ და თხუთმეტტურიან შეჯიბრში ჩაერთვნენ. უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში მყოფნი იმპერატორის თასისთვის იბრძვიან, რანგით დაბალნი კი წოდების ასამაღლებლად.

ტრადიციულად მაკუტიშია ქართველი ლევან ცაგურიაც. კოკაიმ მაისის ბაშოს შემდეგ წოდება ოდნავ გაიუმჯობესა, დასავლეთის მეხუთუ მაეგაშირა გახდა. არადა, იქამდე ერთხანს პირველი მაეგაშირაც კი იყო. აიტიში მისი მთავარი ამოცანა მაეგაშირების სიის სათავეში დაბრუნება უნდა იყოს. შთამბეჭდავი დადებითი ბალანსის შემთხვევაში, უფრო მაღალი წოდების შანსიც გაუჩნდება.

ორი ტურის შემდეგ ჩვენებურის ანგარიშზე თითო მოგება-წაგებაა. ბაშო „შავმა ზღვამ“ მარცხით დაიწყო. ექსკომუსუბი ფუტენოს მძლავრ შეტევას მხოლოდ სამი წამი გაუძლო. ეს გუშინწინ იყო. გუშინ კი კოკაიმ ექსოძეკი დეიმას აჯობა. უშედეგო სასტარტო შეტევის შემდეგ დაცვაზე გადაერთო და მეტოქე მისსავე ილეთზე გამოიჭირა. მესამე ტური დღესაა და ცაგურიას პირისპირ ამინისიკი დადგება.

დებიუტი მარცხიანი გამოუვიდათ ფავორიტთა შორის მოხსენიებულ ოძეკებს — ხაკუხოსა და კოტოოსუს. განსაკუთრებულ მოულოდნელობად სპეციალისტებმა ხაკუხოს წაგება მიიჩნიეს. „თეთრ ფენიქსად“ მონათლულ დიდკაცს ახალგამომცხვარმა კომუსუბიმ ასასეკირიუმ გაუფუჭა ხასიათი, რითაც თავისი ძმაკაცის, იოკოძუნა ასასიორუს წისქვილზეც დაასხა წყალი.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა ორი ტურის შემდეგ ასპროცენტიანი მაჩვენებლით პირველ ადგილზეა რამდენიმე სუმოისტთან ერთად. მათ შორისაა ესტონელი ბალტიც. კაიდო ხიოველსონისთვის ივლისის ბაშო მეორეა მაკუტიში, მაგრამ თავისი ძალის დამტკიცება პირველშივე მოასწრო, როცა ბოლო ტურებამდე ლიდერებს შორის იტრიალა.

იოკოძუნობაზე დაგეშილი ხაკუხო კი მაინც დარწმუნებულია, რომ ამოცანას ივლისშივე შეასრულებს. ამისთვის დარჩენილი ცამეტი შეხვედრიდან თორმეტის მოგება სჭირდება. მაგალითად ხალიჩის მსაჯის — კოკონოეს წარსული მოჰყავს. 25 წლის წინ ამ კაცმა ბაშო მარცხით დაიწყო, მერე ზედიზედ თოთხმეტი ბრძოლა მოიგო და იოკოძუნა გახდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ხუანმა ფორმულას უგანა

## მონტოია ნასკარის კარს მიადგა

AFP

**კოლუმბიელი** მეფორმულის ხუან-პაბლო მონტოიას საკარიერო საკითხის ამგვარ სენსაციურ გადაწყვეტას ვერავინ წარმოიდგენდა: მონტი „სამეფო რბოლებს“ ტოვებს და ამერიკულ „ნასკარის“ სერიაში გადადის.

არადა, რამდენიმე დღის წინ არაფერი მოასწავებდა „კოლუმბიელი ქარიშხლის“ ოკეანისგაღმა გადაბარგებას — ლაპარაკი იყო მხოლოდ მის „მაკლარენში“ დარჩენასა თუ „უილიამსში“ დაბრუნებაზე. მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და 30 წლის ხუანი სამძღოლო მოღვაწეობას თავისი ყოფილი ბოსის ჩიპ გენასის საჯინიბოში გააგრძელებს.

მონტოია: „ამ გადაწყვეტილებაზე დიდხანს არ მფიქრია და ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. მოხარული ვარ ყველაზე პროგრესულ სარბოლო ჩემპიონატში გადასვლით. ჩიპ გენასის კარგად ვიცნობ, რამდენიმე წელი ერთად ვიმუშავეთ და მის გუნდში გამოსვლა ჩემთვის კარიერის საუკეთესო გაგრძელება. ვიცი, გადასვლა იოლი არ იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ საკუთარ შესაძლებლობებში და მოუთმენლად ველი ჩემთვის ახალ სერიაში ძალების გამოცდას. დასამტკიცებელი ხომ ჯერ კიდევ ბევრი მაქვს.“

2001 წელს ფორმულა 1-ში მისვლამდე მონტოია ამერიკულ „კარტის“ ჩემპიონატში სწორედ „ჩიპ გენასი რეისინგში“ დაჯირითობდა. 1999 წელს ჩემპიონობა მოიპოვა, მომდევნო სეზონში კი ინდიანაპოლისის ლეგენდარული 500-მილიანი რბოლა მოიგო.

გენასი: „ჩვენ მოუთმენლად ველით ასეთი კალიბრის მრბოლის მოსვლას, ხუან-პაბლო ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი ყოფნა გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.“

ცნობისთვის, მონტოია გახდება პირველი პილოტი, ვინც პირველი ფორმულიდან „ნასკარში“ გადავა.

**გია ახალაძე**



# 93-ე ტურ დე ფრანსი

## 2006, 1-23 ივლისი

AFP

# ჰორიზონტზე მთები გამოჩნდა

**გუშინ** „ტურზე“ პირველი დასვენების დღე იყო. დღეს პელეტონი სამხრეთისკენ აიღებს გეზს და ხვალიდან კი ველოსიპედისტების წინაშე მთები აღიმართება - პირინეის აღმართ-დაღმართებში ორი ურთულესი ეტაპი გაიმართება და გამოიკვეთება იმ მრბოლთა ვინაობა, რომლებიც საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

მანამდე კი სენტ მენ ლე გრანდსა და ლორიანს შორის მე-8, 181 კილომეტრიანი ეტაპი გაიმართა და ფრანგი სილვენ კალზატის გამარჯვებით დასრულდა. კალზატი, მეორე ფრანგი პატრიკ ჰალგანდი, ფინელი კილ კარლსტრომი, ამერიკელი დევიდ ზაბრისკი, გერმანელი მატიას კესლერი და ბელგიელი მარიო აერტსი 30 კილომეტრის შემდეგ მოწყდნენ პელეტონს და წინ გავარდნენ. ამ ექვსეულმა თითქმის ასი კილომეტრი სინქრონულად იმუშავა და პერიოდულად მათი უპირატესობა სამწუთნახევარს აღწევდა. მოწინავეთა შორის CSC-სა და T-მობაილის წევრების, ზაბრისკისა და კესლერის ყოფნა ნამდვილად არ შედიოდა ამერიკელი ფლოიდ ლენდისის გუნდის, „ფონაკის“ გეგმებში. ამიტომაც იყო, რომ ქარავანს, სწორედ შვეიცარიული გუნდის მრბოლები ჩაუდგნენ სათავეში და ტემპი გაზარდეს.

მოწინავეთა უპირატესობამ ნელა დნობა დაიწყო და მაშინ, ფინიშამდე ორმოციოდე კილომეტრი რომ რჩებოდა, კალზატიმ გარისკა, მეოთხე კატეგორიის მთაზე შეუტია, თანამებრძოლები მიატოვა და მარტომ გასწია ფინიშისკენ.

რისკმა გაამართლა, იერიში წარმატებული გამოდგა და 27 წლის მრბოლმა კარიერაში პირველად მოიგო „დიდი მარყუჟის“ ეტაპი. კალზატისგან მიტოვებულებმა კი ვეღარ გაუძლეს აღებულ ტემპს და ისინი ფინიშის სიახლოვეს პელეტონმა ჩაყლაპა, თუმცაღა კარლსტრომმა და ჰალგანდმა მაინც ივარგეს, ბოლოსკენ უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს. ზაბრისკისა და კესლერის მონდომებამ კი ამაოდ ჩაიარა — ლენდისმა და მისმა თანაგუნდელებმა კონკურენტებს, თუნდაც რამდენიმე წამის მოგების საშუალებაც კი არ მისცეს. შესაბამისად, არ შეცვლილა მდგომარეობა საერთო ჩათვლაში. ლიდერის ყვითელი მაისურა კვლავაც უკრაინელ სერგეი გონჩარს აცვია და T-მობაილის მრბოლი მეორე ადგილზე მყოფ ლენდისს ზუსტად ერთ წუთს უგებს.

და მაინც, ეს ყველაფერი მხოლოდ პრელუდია იყო. მთავარი ამბები ხვალიდან იწყება და პირინეის, შემდეგ კი ალპების უღელტეხილები ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

**გია მუჯირი**

**მერვე ეტაპი. სენტ მენ ლე გრანდი — ლორიანი. 181 კმ**

| | |
|---|---|
| 1. სილვენ კალზატი (საფრანგეთი, AG2R) | 4 სთ. 13 წთ. 18 წმ. |
| 2. კილ კარლსტრომი (ფინეთი, ლიქუიგასა) | +2 წთ. 5 წმ. |
| 3. პატრიკ ჰალგანდი (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) | +2 წთ. 5 წმ. |
| 4. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) | +2 წთ. 15 წმ. |
| 5. დანიელე ბენატი (იტალია, ლამბრე) | +2 წთ. 15 წმ. |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. სერგეი გონჩარი (უკრაინა, T-მობაილი) | 34 სთ. 38 წთ. 53 წმ. |
| 2. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი) | +1 წთ. |
| 3. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი) | +1 წთ. 8 წმ. |
| 4. პატრიკ სინკევიჩი (გერმანია, T-მობაილი) | +1 წთ. 45 წმ. |
| 5. მარკუს ფოტენი (გერმანია, გეროლშტაინერი) | +1 წთ. 50 წმ. |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00